# საარბიტრო

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 3 ნოემბერი 2005 №253 (2576)

ფასი 50 თეთრი



## თუნი თუ...

მიხეილ ყაველაშვილი ან ითამაშებს ან ისწავლის

2



## თუ ფულს არ გადამიხდით...

კორდალიძემ კახეთს ბოლო ვადა დაუთქვა

3



## თითი თვალში

ქუთაისელებმა ჩემპიონს ტოლი არ დაუდეს

13

# რეალს ბარსა მიეწია

UEFA CHAMPIONS LEAGUE

# 2+2=

# რეალი, ბარსელონა ლიონი, არსენალი





ბენფიკა — ვილიარეალი 0:1. ნუნუ გომეში — კიკე ალვარესი...

AFP ლისაბონიდან

# სიმპათიური სამზადისი



*საქართველოს მორაგბეთა ნაკრებს შინ ურუგვაისა და ჩილისთან შეხვედრები ელის. ჩვენს ბორჯღალოსნებს ორივე გუნდთან რევანშის საშუალება ეძლევათ, მაგრამ ბრძოლებამდე პრობლემები მომრავლებიათ...*

იხილეთ მე-13 გვერდი

# ჩემპიონთა ლიგა 2005-2006
## ჯგუფური ეტაპი, IV ტური. ნუხელ

# ბარსენალის საღამო ბრემენული კომპარის თანხლებით

### A ჯგუფი

**იუვენტუსი 2:1 ბაიერნი**

1:0 ტრეზეგე (62), 1:1 დაისლერი (66), 2:1 ტრეზეგე (85)

იუვენტუსი: აბიატი, ტურამი, კანავარო, კოვაჩი (კამორანეზი 58; მუტუ 76), კიელინი, ვიეირა, ემერსონი, ძამბროტა, დელ პიერო (ნედვედი 46), ტრეზეგე, იბრაჰიმოვიჩი

მწვრთნელი: ფაბიო კაპელო

ბაიერნი: კანი, სანიოლი, ისმაელი, რუსიო, შვაინშტაიგერი, დაისლერი, დემიკელისი (შოლი 87), ზე რობერტო, ბალაკი, პიზარო, მაკაი (გერერო 88)

მწვრთნელი: ფელიქს მაგათი

გაფრთხილება: კოვაჩი, შვაინშტაიგერი, იბრაჰიმოვიჩი, ზე რობერტო, კამორანეზი, ვიეირა, იბრაჰიმოვიჩი

გაძევება: იბრაჰიმოვიჩი (90)

მსაჯი: ლუბოშ მიხელი (სლოვაკეთი)

**ბრიუგე 3:2 რაპიდი**

0:1 კინსლი (1), 1:1 პორტილიო (9), 2:1 ბალაბანი (25), 3:1 ვერჰეიენი (63), 3:2 ჰოფმანი (81)

ბრიუგე: ბუტინა, მარტენსი, ვანაუდენაერდე, სპილარი, ბლონდელი, ვერჰეიენი, ვერმანტი, კლემენტი, ლეკო (როელანდტსი 86), ბალაბანი (ენგლებერდი 83), პორტილიო (ოლივეირა 90)

მწვრთნელი: იან კულემანსი

რაპიდი: ჰედლი, ჰიდენი, დობერი (გარიში 83), ბეიბლი, ადამსკი, კორსოში, ჰოფმანი, ჰლინკა, დოლინგერი (მარტინესი 70), კინსლი, ლოური (აკაგუენდესი 70)

მწვრთნელი: იოზეფ ჰიკერსბერგერი

გაფრთხილება: ვერმანტი, დოლინგერი, დობერი, ბლონდელი, კინსლი

მსაჯი: ალონ იეფეტი (ისრაელი)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 4 | 3 | 0 | 1 | 8:4 | 9 |
| ბაიერნი | 4 | 3 | 0 | 1 | 5:3 | 9 |
| ბრიუგე | 4 | 2 | 0 | 2 | 5:5 | 6 |
| რაპიდი | 4 | 0 | 0 | 4 | 2:8 | 0 |

### B ჯგუფი

**არსენალი 3:0 სპარტა**

1:0 ანრი (23), 2:0, 3:0 ვან პერსი (81, 86)

არსენალი: ალმუნია, ტურე, ლორენი, კემპბელი, კლიში, ჟილბერტო, ფლამინი, პირესი (ფაბრეგასი 73), რეიესი (ებუე 83), ბერხკამპი, ანრი (ვან პერსი 65)

მწვრთნელი: არსენ ვენგერი

სპარტა: ბლაჟეკი, ლუკაში, პერგლი, პეტრუსი (ჟესლინკი 80), კადლეცი, პოსკეში, პეტრასი, ჟელენკა, ჰაშეკი, პოლაჩეკი (სლეპიჩკა 58), მატუშოვიჩი

მწვრთნელი: სტანისლავ გრიგა

გაფრთხილება: პეტრასი

მსაჯი: ალან სარსი (საფრანგეთი)

**თუნი 2:4 აიაქსი**

0:1 სნეიდერი (27), 1:1 ლუსტრინელი (56), 1:2 ანასტასიუ (62), 2:2 ადრიანო (74), 2:3 დე იონგი (90), 2:4 ბუხარი (90)

თუნი: იაკუპოვიჩი, გონსალვეში, დეუმი, მილიჩევიჩი (ადრიანო 42), ორმანი (გერბერი 67), ლეანდრო (სენი 81), ბერნარდი, ჰოზიჩი, აეგერტერი, ფერეირა, ლუსტრინელი

მწვრთნელი: ურს შიონბერგერი

აიაქსი: სტეკელენბურგი, გრიგერა, ჰეიტინგა, მადურო, ემანუელსონი, დე იონგი, გალაშეკი, სნეიდერი (ბუხარი 89), პიენაარი, ანასტასიუ, ბაბელი

მწვრთნელი: დენი ბლინდი

გაფრთხილება: ანასტასიუ, გონსალვეში, გალაშეკი, მილიჩევიჩი, ფერეირა

მსაჯი: ვლადიმირ ხრინაკი (სლოვაკეთი)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 4 | 4 | 0 | 0 | 9:2 | 12 |
| აიაქსი | 4 | 2 | 1 | 1 | 8:5 | 7 |
| თუნი | 4 | 1 | 0 | 3 | 4:8 | 3 |
| სპარტა | 4 | 0 | 1 | 3 | 1:7 | 1 |

### C ჯგუფი

**ბარსელონა 5:0 პანათინაიკოსი**

1:0 ვან ბომელი (1), 2:0 ეტოო (14), 3:0 მესი (34), 4:0, 5:0 ეტოო (40, 65)

ბარსელონა: ვალდესი, ოლეგერი, ედმილსონი, პუიოლი, ვან ბრონკჰორსტი, მესი, ვან ბომელი (გაბრი 61), ხავი (ესკერო 71), ინიესტა (მოტა 51), რონალდინიო, ეტოო

მწვრთნელი: ფრანკ რაიკაარდი

პანათინაიკოსი: გალინოვიჩი, ბისკანი (კოციოსი 46), ვინტრა, მორისი, დარლასი (ციოლისი 61), ნილსონი, კონსეისაო, გონსალესი, ლენტიუ, სერიჩი (ვუტერი 79), პაპადოპულოსი

მწვრთნელი: ალბერტო მალესანი

გაფრთხილება: მორისი

მსაჯი: რენე ტემინკი (ჰოლანდია)

**ვერდერი 4:3 უდინეზე**

1:0 კლოზე (15), 2:0 ბაუმანი (24), 3:0 მიკუ (51), 3:1, 3:2 დი ნატალე (54, 57), 3:3 შულცი (60ს.კ.), 4:3 მიკუ (67)

ვერდერი: რაინკე, ოვომოიელა (ფარენჰორსტი 68), ანდრეასენი, ნალდო, შულცი, ბაუმანი (ვრანიეში 86), ბოროვსკი, მიკუ, ფრინგსი, ვალდესი (ჰანტი 80), კლოზე

მწვრთნელი: თომას შაფი

უდინეზე: დე სანკტისი, სენსინი, ფელიპე, ბერტოტო, დ. ძენონი (მაური 50), პინცი, ობოდო, მუნტარი (დი ნატალე 30), კანდელა, დი მიკელე (მოტა 73), იაკინტა

მწვრთნელი: სერსე კოზმი

გაფრთხილება: დ. ძენონი, პინცი, ფრინგსი, ჰანტი, მოტა, პინცი

გაძევება: პინცი (71)

მსაჯი: იური ბასკაკოვი (რუსეთი)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 4 | 3 | 1 | 0 | 11:1 | 10 |
| ვერდერი | 4 | 1 | 1 | 2 | 6:8 | 4 |
| უდინეზე | 4 | 1 | 1 | 2 | 8:9 | 4 |
| პანათინაიკოსი | 4 | 1 | 1 | 2 | 2:9 | 4 |

### C ჯგუფი

**ლილი 1:0 მანჩესტერი**

1:0 აჩიმოვიჩი (38)

ლილი: სილვა, ტაველარიდისი, შალმე, შმიტცი, ტაფორუ, დებიუში, მაკუნი, ბოდმერი, დერნისი (გიგაქსი 79), მუსილუ (ოდემვეჟი 84), აჩიმოვიჩი (ჩაბაი 77)

მწვრთნელი: კლოდ პუელი

მანჩესტერი: ვან დერ სარი, ფერდინანდი, ოში, ბრაუნი, სილვესტრი, რონალდო (როსი 89), ფლეტჩერი, სმიტი, რიჩარდსონი (პარკი 65), რუნი, ვან ნისტელროოი

მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი

გაფრთხილება: მაკუნი, ტაველარიდისი, ტაფორუ, სილვესტრი, რუნი

მსაჯი: მარკუს მერკი (გერმანია)

**ბენფიკა 0:1 ვილიარეალი**

0:1 სენა (82)

ბენფიკა: ნერუ, ლუიზაო, ნილსონი, ანდერსონი (ასიზი 84), ლუო, ფერნანდესი, კარაგუნისი (მანტორასი 70), ჟოვანი (პერეირა 70), პეტიტი, სიმაო, ნუნო გომეში

მწვრთნელი: რონალდ კუმანი

ვილიარეალი: ბარბოსა, ხავი ვენტა, ალვარესი, როდრიგესი, არუაბარენა, სენა (პენია 90), ხოსიკო, რიკელმე, სორინი, ხოსე მარი (გიარე 71), ფორლანი (ფიგუეროა 52)

მწვრთნელი: მანუელ პელეგრინი

გაფრთხილება: ხავი ვენტა, გონსალო, ნუნო გომეში, სორინი

მსაჯი: ფრანკ დე ბლეკერე (ბელგია)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვილიარეალი | 4 | 1 | 3 | 0 | 2:1 | 6 |
| ლილი | 4 | 1 | 2 | 1 | 1:1 | 5 |
| მანჩესტერი | 4 | 1 | 2 | 1 | 2:2 | 5 |
| ბენფიკა | 4 | 1 | 1 | 2 | 3:4 | 4 |

**დავიწყოთ** B ჯგუფით, ვინაიდან აქ ლონდონის „არსენალმა" ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე გათამაშებაში ზედიზედ მეოთხე გამარჯვება იზეიმა და საქმეც ადრიანად მოითავა: მეთოფეები უკვე მერვედფინალისტები გახლავან მაშინ, როდესაც, მოგეხსენებათ, შეჯიბრების ჯგუფური ეტაპის დასრულებამდე კიდევ ორი ტურია დარჩენილი.

„არსენალმა" პრაღის „სპარტას" მოუგო 3:0. შეგახსენებთ, რომ ამავე გუნდების ორი კვირის წინანდელი შეხვედრაც ლონდონელების გამარჯვებით, 2:0 დასრულდა. მეთოფეთა გუშინდელი სამი გოლიდან აღსანიშნავი პირველია, რომელიც ტიერი ანრიმ საუცხოოდ შეაბზრიალა.

თავისი მერვედფინალისტი დაასახელა C ჯგუფმაც. ეს „ბარსელონაა", რომელმაც ბერძნულ „პანათინაიკოსს" უპრობლემოდ გადაურბინა — 5:0. ბერძნული გუნდის სურვილი, „კამპ ნოუზეც" გაემეორებინა ის, რაც კატალონიელებთან პირველ შეხვედრაში გააკეთა — ის შეხვედრა უგოლოდ დასრულდა — პირველსავე წუთზე დაასამარა მარკ ვან ბომელმა, რასაც მასპინძლების სხვა გოლები მოჰყვა, რომელთაგან სამი კამერუნელმა სამუელ ეტოომ გაიტანა.

ამავე ჯგუფში გაიმართა ნამდვილი თრილერი გერმანული „ვერდერისა" და იტალიური „უდინეზეს" მონაწილეობით. აღსანიშნავია, რომ ეს გახლდათ თომას შაფის გუნდის პირველი გამარჯვება მიმდინარე შეჯიბრებაში. საინტერესო ის იყო, რომ ბრემენელებმა პირველ ტაიმში ორი გოლი გაუტანეს იტალიელებს და მეორე ტაიმიც მათი გოლით დაიწყო, მაგრამ მერე დაიწყო, რაც დაიწყო — სერსე კოზმის რაზმმა ექვს წუთში გაუთანაბრა „ვერდერს" ანგარიში. და მაინც, გამარჯვება მასპინძლებს ხვდათ წილად. გამარჯვების გოლი იონ მიკუმ შეაგდო.

D ჯგუფში „მანჩესტერ იუნაიტედმა" დაამტკიცა, რომ მართლა კრიზისშია და „ლილთან" წააგო 0:1. ამავე ჯგუფში გაიმარჯვა „ვილიარეალმაც", რომელმაც ლისაბონში მოახერხა „ბენფიკას" 1:0 ძლევა.

A ჯგუფში კი მთავარი მატჩი ტურინის „დელე ალპიზე" გაიმართა, სადაც „იუვენტუსმა" „ბაიერნს" უმასპინძლა და ისეთივე ანგარიშით მოუგო, როგორითაც ორი კვირის წინ მიუნხენში დამარცხდა. ლამაზი სანახავი იყო ტურინელების მეორე გოლი, რომელიც 85-ე წუთზე პირველი გოლის ავტორმა, ფრანგმა დავიდ ტრეზეგემ თანამემამულის, პატრიკ ვიეირას საუცხოო პასის შემდეგ რთულად შესასრულებელი დარტყმით შეაგდო.

**ინგლისი**

ჩემპიონატი. XVII ტური

ქოვენთრი 1:2 სტოკი

დერბი 3:3 იფსვიჩი

საუთჰემპტონი — კრ. პალასი

გადაიდო

**სლოვენია**

თასი მეოთხედფინალი

კოპერი 2:1 დომჟალე

**დანია**

II დივიზიონი. XIV ტური

სკიოლდე 1:6 ვეილე

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 94 33 80



# თუნი თუ...
## ყაველაშვილი ან ითამაშებს ან ისწავლის

**მიხეილ ყაველაშვილი,** რომელსაც მძიმე ტრავმის გამო თითქმის ექვსი თვეა, არ უთამაშია, გამოჯანმრთელდა და შესაძლოა შვეიცარიულ „თუნშიც" ვიხილოთ. ყოველ შემთხვევაში, უგუნდო ყაველაშვილს „თუნის" ხელმძღვანელები უკვე რამდენჯერმე დაუკავშირდნენ და კონტრაქტი შესთავაზეს, ჩვენიანი კი მკურნალობდა და „თუნთან" მოლაპარაკებაც ზამთრისთვის გადაიდო.

მიხეილ ყაველაშვილს კარიერის გაგრძელების მეორე ვარიანტიც აქვს, ისიც შვეიცარიული — აუტსაიდერ „შაფჰაუზენის" შეთავაზება. თუმც ის ჯერ მხოლოდ ინდივიდუალურად ვარჯიშობს და ექიმების საბოლოო სიტყვას ელის. საქმე ისაა, რომ მიხეილ ყაველაშვილმა შესაძლოა ფეხბურთელის კარიერა საერთოდ დაასრულოს, მას დეკემბრამდე მისცეს ტრავმის შემდგომი სარეაბილიტაციო ვადა. ქართველი ფეხბურთელი თუ დეკემბრამდე ფეხის ტკივილმა აღარ შეაწუხა, თამაშს შეძლებს, თუ არა და... მაშინ მიხეილ ყაველაშვილი სამწვრთნელო საქმეს შეუდგება. დეკემბერშივე ყაველაშვილი B ლიცენზიის მისაღებად ალბათ თბილისში ჩამოვა, მერე სწავლას შვეიცარიაში გაიღრმავებს, პარალელურად კი რომელიმე იქაურ გუნდშიც იმუშავებს.

თავად მიხეილ ყაველაშვილი იმედოვნებს, რომ კარიერის დასრულება ახლა არ მოუწევს და ერთ სეზონს კიდევ ითამაშებს. მისივე თქმით, სამწვრთნელო განათლების მიღება საჩქარო საქმე არ არის...

**კობა ინასარიძე**

# ზენიტი საუკეთესო იყო
## გიორგი ქინქლაძე: სანაკრებოდ ჯანი კვლავაც მერჩის

*გიორგი ქინქლაძე ძველებურად ათამაშდა და ნაკრებშიც ბრუნდება — ეს დღეს ერთ-ერთი აქტუალური თემაა ქართული ფეხბურთისთვის. გასულ უქმეებზე რუსული პრემიერლიგის 28-ე ტურში ყაზანის „რუბინმა" უშუალო კონკურენტს, სანკტ პეტერბურგის „ზენიტს" სტუმრად 1:0 მოუგო და ქინქლაძე საგოლე პასის გარდა ჩინებული თამაშითაც გამოირჩა...*



**— სანამ შარშან კვიპროსულ „ანართოსისში" გადახვიდოდი, თითქმის წელიწადნახევარი უგუნდოდ იყავით — მას შემდეგ ნათამაშები მატჩებიდან „ზენიტთან" თამაში შენთვის საუკეთესო იყო?**

— შეიძლება ითქვას, ასეა. თანაც „ზენიტთან" მატჩი ჩვენთვის გადამწყვეტი იყო — რომ ვერ მოგვეგო, ფაქტობრივად, უეფას თასის საგზურის მოპოვების შანსს ვკარგავდით. ამ გამარჯვებით „ზენიტს" გადავასწარით და ახლა ყველაფერი ჩვენს ხელშია. პრემიერლიგის დამთავრებამდე მხოლოდ ორი ტურია, „ტორპედოსთან" და „შინიკთან" დაგვრჩა სათამაშო და თუ მეოთხე ადგილი შევინარჩუნეთ, უეფას თასზეც გავალთ.

**— ითქვა, თუ „რუბინმა" უეფას თასის საგზური მოიპოვა, შოთა არველაძის, გოგა გახოკიძის და ლევან კობიაშვილის დამატებას ელდება...**

— ასეთი რამ მე აქაური გაზეთებიდან გავიგე, მეტს კი ჯერ ვერაფერს გეტყვით.

**— 32 წლის ქინქლაძე ნაკრებში ბრუნდება...**

— ნაკრებში თამაში ყოველთვის პრესტიჟული იყო ჩემთვის და მგონი, ჯანი ძველებურად მერჩის.

**დავით თავართქილაძე**



# დინამო თანამეგობრობის მეგობარია

## სკონტო ცამეტზე დაითარსა



კახა ცხადაძის „დინამო“ „თანამეგობრობის თასზე“ ითამაშებს

**გადაწყდა:** „თანამეგობრობის თასის“ მე-13 გათამაშება 2006 წლის 13-26 იანვარს გაიმართება — რუსები ამ ტურნირს ვერა და ვერ შეელივნენ და დიდი ძალისხმევით მაინც მოახერხეს სპონსორების მოძიება.

გუშინ კი თბილისის „დინამოს“ პრესსამსახურის უფროს ლევან სალუქვაძეს შევეხმიანეთ და სწორედ მისგან შევიტყვეთ, რომ „თანამეგობრობის თასზე“ კლუბმა მიწვევა უკვე მიიღო. საქართველოს თორმეტგზის ჩემპიონმა ტურნირის ორგანიზატორებს თანხმობა შეუთვალა და იანვარში მოსკოვში გაემგზავრება. გეხსომებათ, „დინამომ“ 2004 წელს ხორვატი ივო შუშაკის თავკაცობით მოიგო ეს ტურნირი.

რაც შეეხება ფორმატს: ტურნირში ძველებურად 16 გუნდი ითამაშებს, რომლებიც ოთხ ჯგუფში გადანაწილდებიან და ორ-ორი საუკეთესო მეოთხედფინალში გავა.

საინტერესოა, რომ პირველად ამ ტურნირის ისტორიაში მოსკოვში ვერ ითამაშებს რიგის „სკონტო“, რომელმაც წლეულს ლატვიის ჩემპიონობა დაკარგა.

**ქახა შალამბერიძე**

# იაშვილს მიდტიულანდისთვის ჯერ არ სცალია



***თბილისის** „დინამოს“ ერთ-ერთი ლიდერი, 20 წლის სანდრო იაშვილი 30 ოქტომბერს „ლოკომოტივთან“ მატჩში ისე დაშავდა, რომ შესაცვლელი შეიქნა. წინასწარი დიაგნოზი ასეთი იყო — იაშვილს კუნთი გაუწყდა და მიმდინარე სეზონის პირველ წრეში ველარ ითამაშებს. გუშინ კი თვითონ იაშვილს შევეხმიანეთ...*

— მარჯვენა საზარდულის კუნთი ნახევრად გაწყვეტილი მაქვს. ეს საზარდული ადრეც მაწუხებდა და მაშინაც უოპერაციოდ მოვირჩინე. ახლა წოლითი რეჟიმი დამინიშნეს, ნემსებსაც ვიკეთებ და ფიზიოთერაპიასაც. დიდი იმედი მაქვს, რომ ერთ თვეში მსუბუქად ვარჯიშს დავიწყებ.

— გავიგეთ, რომ შენ და კიდევ ერთ დინამოელს, კახა ალადაშვილს დანიური სუპერლიგის „მიდტიულანდი“ გეპატიჟებათ...

— ამის შესახებ მეც გავიგე, მაგრამ მხოლოდ ყურმოკვრით. დაწვრილებით კი ვერაფერს გეტყვით.

**დავით თამართქილაძე**

# თუ ფულს არ გადამიხდით...

## კორღალიძემ კახეთს ბოლო ვადა დაუთქვა

**შესაძლოა,** ოთარ კორღალიძემ თელავის „კახეთს“ სასამართლოში უჩივლოს — კორღალიძე კლუბისგან კონტრაქტით გათვალისწინებული თანხის გადახდას ითხოვს.

კორღალიძე „კახეთის“ მთავარმწვრთნელობიდან მიმდინარე ეროვნული ჩემპიონატის მეექვსე ტურის შემდეგ გაათავისუფლეს, მაგრამ მას „კახეთთან“ კონტრაქტი სეზონის ბოლომდე აკავშირებდა.

— ჯერჯერობით სასამართლოში არ მიჩივლია, პრობლემები მაშინ შეიქმნება, თუ „კახეთი“ ფულს არ გადამიხდის. „კახეთთან“ კონტრაქტი 2007 წლის ივლისამდე მქონდა და ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თანხას სრულად ვითხოვ. „კახეთს“ 5 ნოემბრამდე ვაძლევ ვადას და თუ თანხას არ გადამიხდიან, წერილობით მივმართავ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას. უკვე შეგულებული მყავს ადვოკატიც და, თუ საქმე სასამართლომდე მივა, ამისთვისაც მზად ვარ — გვითხრა კორღალიძემ.

შეგახსენებთ, კორღალიძე პირველი მწვრთნელი არაა, ვინც მოხსნეს და მერე კლუბს კონტრაქტით გათვლისწინებულ თანხას სთხოვს. მსგავსი დავა იყო თბილისის „დინამოსა“ და გია გეგუჩაძეს შორის, როცა საქმე სასამართლომდე მივიდა და მხარეები ამის შემდეგ მორიგდნენ.

ახლა კი დაველოდოთ 5 ნოემბერს და „კახეთის“ გადაწყვეტილებას.

**დავით თამართქილაძე**

# გიორგი ჩიხრაძის დროის მანქანა თვითმფრინავია



**მოგეხსენებათ,** ნოემბერში საქართველოს ჩემპიონატის მატჩები 14 საათზე დაიწყება. გამონაკლისი ერთი შეხვედრაა: 5 ნოემბერს „ამერი“ „სპარტაკს“ ოქტომბრულად ანუ 15 საათზე უმასპინძლებს. მიზეზი, შეიძლება ასეც ითქვას, საქართველოს ხელისუფლების ის გადაწყვეტილებაა, რომლის თანახმადაც საქართველო ზამთრის დროზე არ გადავიდა...

თუმცა მიზეზი, ცხადია, მხოლოდ ეს არ არის. „ამერის“ მთავარი მწვრთნელი გიორგი ჩიხრაძე წინა ტურში სოხუმის „დინამოსთან“ თამაშის მეორე დღეს მოსკოვში გაემგზავრა. შარშან საქართველოში მწვრთნელის B კატეგორიის აღების მერე ჩიხრაძემ სწავლა რუსეთის მწვრთნელთა უმაღლეს სკოლაში განაგრძო და ახლა მეორე სემესტრის სესიებისთვის გაემგზავრა მოსკოვს.

ჩიხრაძის არყოფნაში „ამერის“ ვარჯიშებს მისი თანაშემწეები, ნუგზარ ბოჯგუა და მიხეილ ჯიშკარიანი ატარებენ, თუმც მთავარ მწვრთნელს განრიგი ისე ჰქონდა დაგეგმილი, რომ ჩემპიონატის მატჩებზე დასასწრებად რამდენიმე საათით უნდა დაბრუნებულიყო, გუნდი თამაშზე თავად გაეყვანა, ნამატჩევს კი ისევ მოსკოვში დაბრუნებულიყო.

ამ განრიგში არაფერი შეცვლილა გარდა იმისა, რომ საქართველოს ზაფხულის დროზე დარჩენის გამო, მოსკოვი-თბილისის ავიარეისი ერთი საათით გვიანდება. აქედან გამომდინარე, გიორგი ჩიხრაძე 14 საათზე სტადიონზე ყოფნას ვეღარ ასწრებდა.

დროის დეფიციტის აღმოსაფხვრელად „ამერმა“ „სპარტაკის“ ხელმძღვანელებს მატჩის ერთი საათით გვიან დაწყება სთხოვა და სპარტაკელებიც ამას გაგებით შეხვდნენ. ეს თხოვნა-თანხმობა კი ოფიციალურად საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგის საშეჯიბრო კომიტეტმა გააფორმა.

**ქოტე ქექელია**

# თქვენი ინტერვიუ

# ნოდარ ახალკაცთან

*რუბრიკის მორიგი რესპონდენტი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი იქნება.*

*კითხვები 8 ნოემბრამდე მოგვაწოდეთ და პრეზიდენტთან თქვენს ინტერვიუს არაუგვიანეს 11 ნოემბრამდე გამოვაქვეყნებთ. ერთი სიტყვით, იაქტიურეთ.*

მოგვმართეთ ტელეფონი: 38 11 14; ელექტრონული ფოსტა: Starmail@Caucasus.net



# საქართველოს XVII ჩემპიონატი
## უმაღლესი ლიგა
## პირველი წრე
## ოქტომბრის მიმოხილვა

„სარბიელი“ ტრადიციას აგრძელებს და ამჯერად საქართველოს მე-17 ეროვნული ჩემპიონატის ოქტობრის მიმოხილვას გთავაზობთ.

სტატისტიკურ ამბებს ქვემოთ იხილავთ, აქ კი იმას გეტყვით, რომ ოქტომბერი ჩემპიონატის ლიდერ „ვიტ ჯორჯიას“ საბენეფისო თვე გამოდგა. საუკეთესო გუნდის გარდა ვიტელებმა ორ ნომინაციაშიც იპირველეს — საუკეთესო მწვრთნელი ნესტორ მუმლაძეა, საუკეთესო ფეხბურთელი კი ოთარ მარცვალაძე...

# მუმლაძე წვეთში ზღვასაც ხედავს



გელა ფილიპენკოვასმის ფოტო

— ოქტომბერში თითქმის ყველასთან მძიმე თამაშები გვქონდა. განსაკუთრებით მძიმე იყო „სიონთან“ მატჩი — ვაგებდით, პაუზე დათუნაიშვილი გაგვიძევეს და ათი კაცით მაინც მოვიგეთ. „სიონთან“ გუნდის ხასიათი გამოჩნდა.

— ეს „ვიტ ჯორჯიას“ პიკია?

— აქამდეც მითქვამს და ახლაც ვიტყვი: რა პოტენციალიც აქვს, „ვიტ ჯორჯია“ ჯერჯერობით იმ თამაშს ვერ ჰჭენებს. გვყავს ბევრი ნიჭიერი ფეხბურთელი, რომელთაც მეტი შეუძლიათ. ძნელია, ხუთ-ექვს თვეში ყველაფერი მოასწრო. ვფიქრობ, მე და ჩემმა თანაშემწეებმა, ზურაბ ბერიძემ და დავით ჯანელიძემ ამ ეტაპზე რალაც მოვახერხეთ, მაგრამ ეს ზღვაში წვეთია. გასაკეთებელი ბევრია, თუნდაც ის, რომ საქართველოს ჩემპიონატში წარმატებით თამაში ერთია და ევროპაში — მეორე. ჩემი აქცენტიც ევროპაზეა გათვლილი, იქ თავი არ უნდა შევირცხვინოთ. უნგრულ „ლომბარდ პაპასთან“ მარცხი დღემდე გულში ხინჯად მაქვს.

— ჩემპიონობაზე რას იტყვით?

— რომელი მწვრთნელი იტყვის უარს ჩემპიონობაზე?! თუმც ახლა ამაზე ლაპარაკი ნაადრევია. გუნდის უფროსობა და პირადად კლუბის პრეზიდენტი გურამ რუხაძე ყველანაირად გვერდში გვიდგანან, მათ მხარდაჭერასა და ყურადღებას ვგრძნობთ და ვნახოთ...

**გიორგი ვაშაკიძე**

# ოთარ მარცვალაძის ლვინობისთვე ნაკრებისთვეა

ოთარ მარცვალაძე

— რომელი მატჩი იყო საუკეთესო „ვიტ ჯორჯიასთვის“ და შენთვის ოქტომბერში?

— ვფიქრობ, „ბორჯომთან“ და „ზესტაფონთან“ გადადებული მატჩი. ორივე ძლიერი გუნდია და ორივეს დიდი ანგარიშით, 4:0 მოვუგეთ.

— გუნდის ლიდერი ხარ და, „ვიტ ჯორჯია“ შენით და უშენოდ როგორ წარმოგიდგენია?

— საკუთარ თავზე ლაპარაკი არ მიყვარს. იმას კი ვიტყვი, რომ „ვიტ ჯორჯია“ უჩემოდაც ისეთი ძლიერი იქნება, როგორიც დღესაა. ჩვენი მთავარი პლუსი გუნდურობაა, ყველანი ერთმანეთის მეგობრები ვართ და ერთმანეთის კარგად გვესმის როგორც მინდორზე, ისე მის გარეთ.

— „ვიტ ჯორჯია“ ახლა საუკეთესო ფორმაშია თუ მეტიც შეუძლია?

— რა თქმა უნდა, მეტი შეგვიძლია. ეს ჩვენც ვიცით და მწვრთნელიც მუდამ ამას გვეუბნება.

— ალბათ ჩემპიონობაზე უკვე რეალურად ფიქრობთ...

— სეზონის წინ ჩვენთვის მიზნად ჩემპიონობა არ დაუსახავთ. სტარტი ცუდი გვქონდა, მერე თამაში გამოვასწორეთ, მიყოლებით მოვიგეთ და ახლა ლიდერები ვართ. მოკლედ, მადა ჭამაში მოდისო, ისე მოგვდის.

— მალე საქართველოს ნაკრებში დებიუტი გექნება. ეროვნულ გუნდში გამოძახებას ელოდი?

— სიმართლე ვთქვა, ძალიან გამიკვირდა, მერე რომ გავაცნობიერე, ცხადია, გამიხარდა: ქვეყნის მთავარ გუნდში მიწვევა ხომ ყველა ფეხბურთელისთვის საამაყო და სასიხარულოა. ერთი ვიცი: თავს არ დავზოგავ და ვნახოთ, რა გამოვა.



გელა ფილიპენკოვასმის ფოტო

**გიორგი ვაშაკიძე**

## სიმბოლური ნაკრები

| ფეხბურთელი | გუნდი |
|---|---|
| გია მიგრელაძე | დინამო |
| სანდრო იაშვილი | დინამო |
| ოთარ მარცვალაძე | ვიტ ჯორჯია |
| რონ ონიანი | ლოკომოტივი |
| დავით დიღმელაშვილი | ვიტ ჯორჯია |
| დავით გოლქვაძე | სიონი |
| გიორგი ფეიქრიშვილი | ვიტ ჯორჯია |
| დავით იმედაშვილი | ვიტ ჯორჯია |
| ვახტანგ ხვადაგიანი | ამერი |
| დავით გიგაური | დინამო |
| გრიგოლ ჭანტურია | ლოკომოტივი |

გუნდი: ვიტ ჯორჯია

მწვრთნელი: ნესტორ მუმლაძე

| გუნდი | ქალაქი/სტადიონი | თამაშების რაოდენობა | საშუალო შეფასება |
|---|---|---|---|
| ამერი | თბილისი/ამერი | 2 | 8,6 |
| ზესტაფონი | ზესტაფონი/ცენტრალური | 2 | 8,5 |
| ტორპედო | ქუთაისი/ტორპედო | 2 | 8,3 |
| დინამო | თბილისი/ეროვნული | 2 | 7,3 |
| სიონი | ბოლნისი/თ. სტეფანია | 2 | 7,2 |
| ლოკომოტივი | თბილისი/მ. მესხი | 2 | 6,7 |
| სპარტაკი | თბილისი/შევარდენი | 2 | 6,6 |
| კახეთი | თელავი/გ. ჩოხელი | 2 | 6,4 |
| თბილისი | თბილისი/ოლიმპი | 2 | 6,3 |
| ვიტ ჯორჯია | მცხეთა/არმაზი | 2 | 5,9 |
| დილა | გორი/თ. ბურჯანაძე | 2 | 5,7 |
| სოხუმი | თბილისი/შევარდენი | 2 | 5,4 |
| კოლხეთი | ფოთი/ფაზისი | 2 | 5,4 |
| ბათუმი | ბათუმი/დინამო | 2 | 4,8 |
| ბორჯომი | თბილისი/ოლიმპი-ოლიმპიკი | 2 | 4,5 |
| ცხინვალი | გორი/ქართლი | 2 | 3,0 |

## ოქტომბრის ანგარიშები

**მერვე ტური**

30 სექტემბერი, პარასკევი

**ამერი 1:2 ვიტ ჯორჯია**

1 ოქტომბერი, შაბათი

**ბორჯომი 4:0 ცხინვალი**
**სიონი 1:0 ზესტაფონი**
**ტორპედო 1:0 თბილისი**
**დილა 5:0 სოხუმი**
**ბათუმი 2:0 კოლხეთი**

2 ოქტომბერი, კვირა

**სპარტაკი 0:3 დინამო**
**ლოკომოტივი 3:0 კახეთი**

**მეცხრე ტური**

14 ოქტომბერი, პარასკევი

**სოხუმი 2:1 ბათუმი**

15 ოქტომბერი, შაბათი

**კოლხეთი 0:1 ამერი**
**კახეთი 3:0 დილა**
**თბილისი 0:2 ლოკომოტივი**
**ზესტაფონი 1:1 ტორპედო**
**ცხინვალი 2:0 სპარტაკი**

16 ოქტომბერი, კვირა

**დინამო 3:0 სიონი**
**ვიტ ჯორჯია 4:0 ბორჯომი**

**მეათე ტური**

22 ოქტომბერი, შაბათი

**ამერი 1:0 ბორჯომი**
**დილა 3:0 თბილისი**
**ბათუმი 1:0 კახეთი**
**კოლხეთი 4:0 სოხუმი**

23 ოქტომბერი, კვირა

**სიონი 6:1 ცხინვალი**
**ტორპედო 0:2 დინამო**
**სპარტაკი 1:4 ვიტ ჯორჯია**
**ლოკომოტივი 0:0 ზესტაფონი**

**მეთერთმეტე ტური**

30 ოქტომბერი, კვირა

**სოხუმი 0:3 ამერი**
**კახეთი 3:2 კოლხეთი**
**ზესტაფონი 2:0 დილა**
**დინამო 1:0 ლოკომოტივი**
**ცხინვალი 0:0 ტორპედო**
**ვიტ ჯორჯია 2:1 სიონი**
**ბორჯომი 5:0 სპარტაკი**

31 ოქტომბერი, ორშაბათი

**თბილისი 1:3 ბათუმი**

### საოქტომბრო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვიტ ჯორჯია | 4 | 4 | 0 | 0 | 12:3 | 12 |
| დინამო | 4 | 4 | 0 | 0 | 9:0 | 12 |
| ბათუმი | 4 | 3 | 0 | 1 | 7:3 | 9 |
| ამერი | 4 | 3 | 0 | 1 | 6:2 | 9 |
| ლოკომოტივი | 4 | 2 | 1 | 1 | 5:1 | 7 |
| ბორჯომი | 4 | 2 | 0 | 2 | 9:5 | 6 |
| დილა | 4 | 2 | 0 | 2 | 8:5 | 6 |
| სიონი | 4 | 2 | 0 | 2 | 8:6 | 6 |
| კახეთი | 4 | 2 | 0 | 2 | 6:6 | 6 |
| ზესტაფონი | 4 | 1 | 2 | 1 | 3:2 | 5 |
| ტორპედო | 4 | 1 | 2 | 1 | 2:3 | 5 |
| ცხინვალი | 4 | 1 | 1 | 2 | 3:10 | 4 |
| კოლხეთი | 4 | 1 | 0 | 3 | 6:6 | 3 |
| სოხუმი | 4 | 1 | 0 | 3 | 2:13 | 3 |
| თბილისი | 4 | 0 | 0 | 4 | 1:9 | 0 |
| სპარტაკი | 4 | 0 | 0 | 4 | 1:15 | 0 |

### საერთო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვიტ ჯორჯია | 11 | 9 | 1 | 1 | 26:7 | 28 |
| სიონი | 11 | 8 | 1 | 2 | 22:10 | 25 |
| ბორჯომი | 11 | 8 | 0 | 3 | 23:9 | 24 |
| ლოკომოტივი | 11 | 7 | 3 | 1 | 15:3 | 24 |
| დინამო | 11 | 7 | 1 | 3 | 16:6 | 22 |
| ამერი | 11 | 7 | 1 | 3 | 12:7 | 22 |
| ბათუმი | 11 | 6 | 1 | 4 | 10:7 | 19 |
| ზესტაფონი | 11 | 5 | 2 | 4 | 8:9 | 17 |
| დილა | 11 | 5 | 0 | 6 | 15:12 | 15 |
| კოლხეთი | 11 | 5 | 0 | 6 | 11:12 | 15 |
| კახეთი | 11 | 5 | 0 | 6 | 12:16 | 15 |
| ცხინვალი | 11 | 3 | 1 | 7 | 7:18 | 10 |
| ტორპედო | 11 | 2 | 3 | 6 | 6:11 | 9 |
| სოხუმი | 11 | 2 | 1 | 8 | 9:27 | 7 |
| სპარტაკი | 11 | 1 | 1 | 9 | 2:19 | 4 |
| თბილისი | 11 | 0 | 0 | 11 | 3:23 | 0 |

# როი კინის ინტერვიუს ნაწყვეტები



**„დეილი მირორმა“** გამოაქვეყნა იმ ინტერვიუს ნაწყვეტები, რომელიც „მანჩესტერის“ კაპიტანმა როი კინმა მისცა კლუბის ტელევიზიას და რომლის ეთერში გაშვებაც მენეჯერმა ალექს ფერგიუსონმა აკრძალა.

იმ ინტერვიუში კინმა ხუთი ფეხბურთელი ჩამოთვალა და მათ თამაში და ოსტატობა დაუწუნა.

ასევე, კაპიტანს უთქვამს: „ამბობენ, რომ იანვარში ხალხს დავიმატებთ. მე კიდევ საპირისპირო მგონია, ხალხი უნდა გავუშვათ.“

34 წლის კინი 11 წელია „ოლდ ტრეფორდზეა“ და კლუბისა ყველაფერი კარგად იცის. „მიდლსბროში გამანადგურებელი მარცხი არ გამკვირვებია, რაღაცას ამის მსგავსს ველოდი“, თქვა მან. კინმა არა მარტო ხუთ ახალგაზრდა ფეხბურთელს შეუტია, არამედ მანჩესტერის სუპერვარსკვლავებსაც. მაგალითად, როი ფერდინანდს: „მხოლოდ იმიტომ, რომ კვირაში 120 ათასს იღებ და 20 წუთს კარგად თამაშობ, არ უნდა იფიქრო, რომ სუპერვარსკვლავი ხარ. ახალგაზრდები ცუდად თამაშობენ, იმიტომ რომ გამოცდილი მოთამაშენი მათ გაძღოლას ვერ ახერხებენ. ეს მათი ხასიათების სისუსტეა. ისე ჩანს, რომ ამ კლუბში კაცად მაშინ გთვლიან როცა ცუდად თამაშობ. ლამის საგანგებოდ ვითამაშოთ ცუდად.

საერთოდ კიდევ, ისეთი თაობა წამოვიდა, რომ მათთვის მთავარი კონტრაქტია. იმას აღარ ფიქრობენ, რომ ამ კონტრაქტებს ფანებს და მენეჯერებს უნდა უმადლოდნენ. ასე ჰგონიათ, რომ კონტრაქტის ხელმოწერის დღე საუკეთესოა მათ კარიერაში. მათ ჰგონიათ, რომ კონტრაქტით რაღაცას მიაღწიეს. არაფრისთვის მიუღწევიათ. ფეხბურთი თითქოს არც არსებობს.

„ალექს ფერიუსონმა უარი თქვა მის მერვე აკრძალული ინტერვიუს კომენტარებზე. ფეხბურთელი კინი ახლა არ თამაშობს, საერთოდ კი ისეთი პირი უჩანს, რომ კლუბიდან წავა.

**ირაკლი გამყრელიძე**



ჟოზე მაურინიუ



არსენ ვენგერი

# ჟოზეარსენობანა გრძელდება

**გასულ** უქმეებზე რომ ჟოზე მაურინიომ მასხრად აიგდო არსენ ვენგერი და მას „ავადმყოფი მოთვალთვალე“ უწოდა, ვენგერმა საპასუხოდ პრესკონფერენცია დასცა და გამოაცხადა, ეგ შეურცხადი კაცის ნალაპარაკევი იყოო.

„არ ვიცი, როგორ გავაგრძელებ ამ საქმეს“, თქვა მეთოფეთა მენეჯერმა „ჯერ არ გადამიწყვეტია. როცა სულელი კაცი წარმატებას მიაღწევს ხოლმე, ეს წარმატება სულელს კიდევ უფრო დიდ სულელად აქცევს“.

ამ კომენტარმა დააფიქრა [illegible]ლიაში მარცხით ისედაც გამხეცებული „ჩელსის“ ბოსი. „ბოლო ერთი წელიწადს ვენგერმა იმდენი ილაპარაკა „ჩელსის“ შესახებ, რომ ჩვენ 120 გვერდიანი საქაღალდე გვაქვს ამიტომაც ვთქვი ასე. ის გამუდმებით ჩვენზე ლაპარაკობს. მერედა ვენგერი ძალიან უცნაურ რამეებს ამბობს „ჩელსის“ შესახებ, მგონია რომ ეყოფა. თუ არ ეყოფა და ჩვენც აქა ვართ“.

**ირაკლი გამყრელიძე**

# ვარცხნილობა და ჰალსტუხიც ასეთი უნდა!

**პრიმერადივიზიონის** გაჭირვებულმა გუნდმა, ბარსელონის „ესპანიოლმა“ მიგელ ანხელ ლოტინა მწვრთნელის თანამდებობიდან არ გაანთავისუფლა, არადა საამისოდ კლუბის დირექტორატს საგანგებო კრება ჰქონდა მოწვეული.

„ჩვენ ფარულად ვყარეთ კენჭი და გავარკვიეთ, რომ დირექტორატის წევრები მწვრთნელს ვენდობოდით“, — განუცხადა პრეს-კონფერენციაზე შეკრებილ ესპანელ ჟურნალისტებს კლუბის პრეზიდენტმა დანიელ სანჩეს ლიბრემ. მან თქვა, რომ კრება, რომელზეც მთავარ საკითხად მწვრთნელის მოხსნა-დატოვების ამბავი ჰქონდათ გატანილი, თავდაპირველი განრიგის თანახმად ოთხშაბათისთვის იყო დანიშნული, მაგრამ ვინაიდან ვითარება საგანგებოდ ჩაითვალეს, ის ერთი დღით ადრე გაიმართა.

გუშინაც მოგახსენებდით და დღესაც გავიმეორებთ, რომ ლოტინას



მიგელ ანხელ ლოტინა

წყალი ცუდი შედეგების გამო, კერძოდ კი იმიტომ შეუდგა, რომ ესპანეთის ჩემპიონატის ათი ტურის შემდეგ „ესპანიოლი“ 20 გუნდიან ცხრილში იე-19 ადგილზეა.

ასე და ამგვარად, ესპანეთის პირველობამ ჯერჯერობით მხოლოდ ერთი სპეციალისტის პოსტი იმსხვერპლა — ბილბაოს „ატლეტიკმა“ თანამდებობიდან გაანთავისუფლა ხოსე ლუის მენდილიბარი და მის ნაცვლად ესპანეთის ნაკრების ყოფილი თავკაცი ხავიერ კლემენტე მიიყვანა.

რაც შეეხება გადარჩენილ ლოტინას, მან ბოლო დღეებში რეზონანსი მწარე იუმორით სავსე ერთი განცხადებით გამოიწვია. ლოტინამ განაცხადა, რომ ფეხბურთის მწვრთნელობას თავისი სპეციფიკა აქვს. კერძოდ, მისი სიტყვებით კლუბების დირექტორები მწვრთნელებს მაშინ ხსნიან, როდესაც მათი ვარცხნილობა ან ჰალსტუხი აღარ მოუვათ თვალში. როგორც ჩანს ლოტინას ვარცხნილობასა და ჰალსტუხს ჯერ წუნი არ აქვს.

**პაპუნა ძიდია**

# მოდი ანრი, ჩამოჯექი



სამუელ ეტოო



ტიერი ანრი

**სამუელ ეტოო** ჩინებული ფეხბურთელია და დიდ გულზეც გახლავთ, მისი დიდგულობა კი ბოლოხანს გავრცელებულმა ხმებმა განაპირობა: ლონდონის „არსენალის“ ფრანგი ვარსკვლავი ტიერი ანრი თავის კლუბთან ხელშეკრულების განახლებაზე აწარმოებს მოლაპარაკებებს, იმავდროულად კი ევროპის საფეხბურთო კულუარებში დაჟინებით იმეორებენ მისი „ბარსელონაში“ გადასვლის თითქოსდა შესაძლო ამბავს. ერთი სიტყვით, თუ ისე მოხდება, რომ ანრი „არსენალთან“ საერთო ენას ვერ გამონახავს და „ბარსაში“ გადაბარგდება“ ის და ეტოო თანაგუნდელები და ძირითად შემადგენლობაში მოხვედრის კონკურენტებიც გახდებიან.

„საერთოდ არ მაღელვებს ჩამოვა ანრი ბარსელონაში თუ არა, — განაცხადა 24 წლის კამერუნელმა. — ისე, თუ აქ ითამაშებს, მისთვისვე იქნება უკეთესი. თუ სურს „ბარსაში“ ჩემი მეწყვილე იყოს და მწვრთნელიც ამდენედ ენდობა, იყოს, მაგრამ სანამ მე „ბარსელონაში“ ვარ, მოედანზე ვიქნები. ნუთუ ვინმემ მართლა დაუშვა, რომ ანრი მე ამ გუნდიდან გამიშვებს? მას შეუძლია ჩამოვიდეს და სათადარიგოთა სკამზე დაჯდეს. შესაძლოა ვინმეს ის მართლაც ერჩივნოს ჩემს თავს, მაგრამ ვიმეორებ, სანამ „ბარსელონას“ ფეხბურთელი ვარ, მე ვითამაშებ.“

**პაპუნა ძიდია**

# მექსიკა თვრება და ჩხუბობს

**მექსიკაში** იქაური „ამერიკასა“ და „ლოს პუმასის“ მატჩის მერე ორივე კლუბის გულშემატკივრები ერთმანეთს დაერივნენ და ცხვირ-პირი დაულეწეს. გრანდიოზული ჩხუბი ჯერ ტრიბუნებზე ატყდა, მერე კი არეულობამ ქუჩაში გადაინაცვლა და, მედიის ცნობით, განრისხებულ ფანებს სტადიონის გარშემო ერთი მანქანა თუ ავტობუსიც არ დაუტოვებიათ მთელი. საქმეში პოლიცია ჩაერთო და სამასზე მეტი ბობოქარი ინჩასი დააპატიმრა. „თუ ვინმე ამას გულშემატკივრობას ეძახის, მწარედ ცდება. სტადიონზე საჩხუბრად მოსული ხალხი ფეხბურთის მტერია“ — განცხადა გუშინ „ამერიკას“ პრეზიდენტმა. პოლიციის მიერ შეპყრობილ ფანთა უმრავლესობა ვისკით და კაკედუსის არყით იყო გალეშილი. ის ავბედითი თამაში კი „ამერიკამ“ 2:1 მოიგო.

**ლადო ხომერიკი**

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

# ჩემპიონთა ლიგა 2005-2006. ჯგუფური ეტაპი IV ტური

# ანჩელოტის პენალტი აისატის გაბრწყინება


AFP ეინდჰოვენიდან

პსვ — მილანი 1:0. სერჟინიოს წაქცევისთვის პენალტი არ დანიშნეს

**E ჯგუფი**

**პსვ 1:0 მილანი**

1:0 ფარფანი (11)
**პსვ:** გომესი, სიმონსი, ალექსი, ბოიერი, ლემეი, აფელაი (რაიციგერი 58), , აისატი, კოკუ, ბისლი, ჰესელინკი, ფარფანი (ადო 85)
**მწვრთნელი:** გუს ჰიდინკი
**მილანი:** დიდა, სტამი, ნესტა, მალდინი, კალაძე (სერჟინიო 46), ზეედორფი, პირლო, კაკა, გატუზო (იანკულოვსკი 46), ვიერი, ჯილარდინო (შევჩენკო 73)
**მწვრთნელი:** კარლო ანჩელოტი
**გაფრთხილება:** გატუზო, სტამი, სტამი
**გაძევება:** სტამი (84)
**მსაჯი:** გრემ პოლი (ინგლისი)
35 100 მაყურებელი

**კარლო ანჩელოტის** აზრით, სერჟინიოს წაქცევისთვის მსაჯს პენალტი უნდა დაენიშნა, მაგრამ მარცხის მიუხედავად, „მილანი" ჯგუფიდან მაინც გავა.

„ჰკითხეთ ვისაც გინდათ, ის ნაღდი პენალტი იყო. ლემეის ბურთზე არ უთამაშია და მან სერჟინიო აშკარად წააქცია. ამას მაინც არ გამოვეკიდები და ვიტყვი, რომ ჩვენ ჯგუფიდან გასვლის შანსი გვაქვს. პსვ-სთან კარად ვითამაშეთ. „იუვენტუსთან" 3:1 მოგების შემდეგ ეს მარცხი უკან გადადგმული ნაბიჯი არ ყოფილა, რადგან ჩემპიონთა ლიგაში სულ სხვა განწყობაა. გოლი მალევე გავუშვით, მაგრამ გასათანაბრებლად თავი არ დაგვიზოგავს. წაგება სამწუხაროა, თუმც ფეხბურთელებს ვერ ვუსაყვედურებ. პსვ გოლის შემდეგ დაცვაში ჩაჯდა და კონტრშეტევებზე გადაეწყო, რის გამოც მეტოქის უკანა ხაზის გავლა უფრო გართულდა. „იუვესთან" მატჩში კი ჩვენ დავწინაურდით, რამაც თამაშის გაკონტროლების საშუალება მოგვცა. ეინდჰოვენში გოლი ვერ გავიტანეთ, მიუხედავად იმისა, რომ 90 წუთის განმავლობაში ვუტევდით. გუს ჰიდინკს ტაქტიკა არ შეუცვლია. მისი ფეხბურთელები პრესინგს ცდილობდნენ და კონტრიერიშებზე არიან ჩასაფრებულნი. კიდევ ორი მატჩი დაგვრჩა და ორივეს მოგებას ვაპირებთ" — განცხადა ანჩელოტიმ.

პსვ-ს მწვრთნელი გუს ჰიდინკი 17 წლის ისმაელ აისატის თამაშით მოიხიბლა: „ეს მატჩი სრულად ჰოლანდიის გამარჯვებისა იყო. აისატიმ დიდებულად იშრომა და დამერწმუნა, რომ ძირითად შემადგენლობაში თამაშის ღირსია. „მილანთან" ფრითაც კმაყოფილი ვიქნებოდი, თუმც სამი ქულა მივითვალეთ. ჩემმა გუნდმა კარგად იცის, როგორ მოუგოს „მილანს". რადგან ეს უკვე მეორედ შევძელით წლეულს".

**შალკე 2:0 ფენერბაჰჩე**

1:0 კურანი (32), 2:0 სანდი (90)
**შალკე:** როსტი, ბორდონი, რაფინია, როდრიგესი, კრსტაიჩი, ჰამიტ ალტინტოპი (სანდი 64), ერნსტი (ვარელა 82), პოულსენი, ლინკოლნი, კობიაშვილი, კურანი (ბაირამოვიჩი 90)
**მწვრთნელი:** რალფ რანგნიკი
**ფენერბაჰჩე:** დემირელი, ბალჩი, ლუსიანო, ტურაჩი, უმითი, აპია, საჰინი, ნობრე (იოზგათლი 46), მ. აურელიო, თუნჯაი, ანელკა
**მწვრთნელი:** კრისტოფ დაუმი
**გაფრთხილება:** ოზატი, თუნჯაი, მ. აურელიო, რაფინია, მ. აურელიო
**გაძევება:** ლუსიანო (40), მ. აურელიო (56)
**მსაჯი:** ლუის მედინა კანტალეხო (ესპანეთი)
53 993 მაყურებელი

**რალფ რანგნიკის** რეიტინგმა ოდნავ აიწია, რადგან „შალკემ" ჩემპიონთა ლიგაში პირველი მატჩი მოიგო. „ფენერბაჰჩე" გასვლით ევრომატჩებში მუდამ ცუდად თამაშობდა და ტრადიცია გელზენკირხენშიც გააგრძელა. აქვე ისიც ვთქვათ, რომ სტამბოლელებს პირველ ტაიმში ლუსიანო გაუძევეს, მეორეში კი აურელიო. პირველ გაძევებამდე „ხუმრები" კევინ კურანიმ დააწინაურა, ცხრაკაცა „ფენერს" კი მეორე გოლი ბოლო წუთზე ებე სანდმა გაუტანა.

„პირველ ტაიმში უკეთესად ვითამაშეთ, მეორეში კი გაგვიჭირდა, როცა მეტოქე ცხრა ფეხბურთელით დარჩა. თუმც ასეთ შემთხვევებში კაცნაკლული გუნდი ყოველთვის უკეთესად იცავს თავს. მე მაინც მოხარული ვარ. დარჩენილი მატჩები ჩვენთვის ფინალის ტოლფასია და ისინი უნდა მოვიგოთ".

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პსვ | 4 | 2 | 1 | 1 | 2:3 | 7 |
| მილანი | 4 | 1 | 2 | 1 | 5:4 | 5 |
| შალკე | 4 | 1 | 2 | 1 | 7:6 | 5 |
| ფენერბაჰჩე | 4 | 1 | 1 | 2 | 7:8 | 4 |

# გალაქტიკოსები და გალების ზეობა


AFP ტრონხეიმიდან

რუსენბორგი — რეალი 0:2. რობერტო კარლოსი მსაჯობით კმაყოფილი დარჩა

**F ჯგუფი**

**რუსენბორგი 0:2 რეალი**

0:1 დორსინი (21 ს.კ.), 0:2 გუტი (41)
**რუსენბორგი:** იონსენი, ბასმა, კვარმე, რისეტი, დორსინი (სტენსაასი 74), ბრაატენი, სტრანდი (ოდეგაარდი 82), სკილბრედი, სოლი, სტორფლორი (პელსტადი 66), ფ. იონსენი
**მწვრთნელი:** პერ-მატიას ჰიოგმე
**რეალი:** კასილიასი, ვუდგეიტი, სალგადო (მეხია 46), პავონი, რ. კარლოსი, დიოგო, ბექჰემი (დე ლა რედი 90), ს. რამოსი, გუტი (ბრავო 84), რობინიო, რაული
**მწვრთნელი:** ვანდერლეი ლუქსემბურგო
**გაფრთხილება:** გუტი, დიოგო, ბრავო, რ. კარლოსი
**მსაჯი:** ვოლფგანგ შტარკი (გერმანია)
21 270 მაყურებელი

**„რუსენბორგთან"** პირველ ტაიმში გატანილმა ორმა გოლმა ვანდერლეი ლუქსემბურგოს „რეალს" საამსეზონო ლიგაზე რიგით მესამე გამარჯვება და ტურნირის მერვედფინალში გასვლა მოუტანა. ნორვეგიელებმა სამეფო გუნდის შესანიშნავ მეკარეს, იკერ კასილიასს ვერაფერი მოუხერხეს და მატჩიც 0:2 დასრულდა.

ვიკინგების მიქაელ დორსინის ავტოგოლმა და მერე გუტის ზუსტმა დარტყმამ მოულოდ ბოლო. კასილიასის ჩაუქობამ კი ის ქნა, რომ „რეალს", პირველად 2005-06-ის ჩემპიონთა ლიგაზე, გოლი არ გაუშვია. მადრიდელებმა ამ მოგებით მერვედფინალის საგზური ჯგუფური ეტაპის დასრულებამდე ორი თამაშით ადრე გაინაღდეს.

„რეალს" ტრონჰეიმის ჯახში ზინედინ ზიდანის, რონალდოს, ჟულიო ბაპტისტას, ივან ელგერასა და ტომას გრავესენის ტრავმირებულთა არმადა დააკლდა. სამაგიეროდ, დევიდ ბექჰემმა მტკივანი მუხლი მოირჩინა და 1 ნოემბერს სამეფო გუნდის შემადგენლობაში თავისი მეასე, საიუბილეო თამაში ჩაატარა.

ნორვეგიელებს ტრავმები არ აწუხებდათ და შინაური „ლერკენდალის" შერკინებაც მხნედ დაიწყეს — სკელბერდმა დანიელ შრაატენს მოხერხებულად უპასა, ოღონდ მეტოქის კარის წინ დარჩენილ ნახევარმცველს სიზუსტე არ ეყო. მომხვდურთა პირველი სახიფათო გასროლა დევიდ ბექჰემის ანგარიშზეა. მეთორმეტე წუთზე რობინიომ იფეთქა — ბრაზილიელი მარცხენა ფლანგიდან მძლავრად ურტყამს, თუმც, მასპინძელთა საბედნიეროდ, ბურთმა იესპერ იენსენის კარის ძელს ოდნავ ჩაუქროლა. გადის მცირე ხანი და რობინიო გუტის ბრწყინვალე გადაცემის შემდეგ ისევ სახიფათოდ ურტყამს. იქ საბრალო დორსინი ცდება და 0:1.

დამხვდურთა უიღბლო მცველი თავისი ცოდვის გამოსყიდვას გააფთრებით ცდილობდა. დორსინი ჯერ სახიფათო კუთხურს აწვდის, მერე კი კასილიასის კარშიც ურტყამს, თუმც უშედეგოდ...

ნორვეგიელების კიდევ რამდენიმე იერიშის მერე რობინიომ მეტოქე მცველებთან ბრძოლაში ბურთი დაკარგა, იქ კი არეულობაში ყველას გუტიმ დაასწრო და ტაბლოზე 0:2 აანთო.

მეორე ტაიმში „რეალი" დაცვით ტაქტიკას ირჩევს, მასპინძლები კი თავის გადასარჩენად სასოწარკვეთილები უტევენ. ფროდე იონსენმა თითქოს აულებელი თავური გლიჯა, მაგრამ კასილიასი, როგორც ყოველთვის, ადგილზეა. შემდეგ ზევი დორსინიც ურტყამს, თუმც... ერთი სიტყვით, კვლავ 0:2 და „რეალი" მერვედფინალში გადის.

**ოლიმპიაკოსი 1:4 ლიონი**

1:0 ბაბანგიდა (3), 1:1 ჟუნინიო (41), 1:2 კარეუ (44), 1:3 დიარა (55), 1:4 კარეუ (57)
**ოლიმპიაკოსი:** გიანუ, პანტოსი, კოსტულასი (სტოლტიდისი 65), ანატოლაკისი, გეორგატოსი, კაფესი, ტური, ბაბანგიდა, ოკასი (დაკოლი 81), რივალდო, ჯორჯევიჩი (ბულუტი 65)
**მწვრთნელი:** ტრონდ სოლიდი
**ლიონი:** კუპე, რევეილერი, კრისი, აბიდალი, კასაპა, ტიაგუ (კლემენტი 74), დიარა, ჟუნინიო (ბ. პედრეტი 78), მალუდა (ვილტორდი 67), გოვუ, კარეუ
**მწვრთნელი:** ჟერარ ულიე
**გაფრთხილება:** კუპე, კოსტულასი, ტიაგუ, ანატოლაკისი
**მსაჯი:** პიტერ ფროიდფელდტი (შვედეთი)
33 500 მაყურებელი

**პირეოსის** ჯახი ბერძნული შეტევებით დაიწყო. „ოლიმპიაკოსის" მერვედფინალში მოხვედრა ოდენ „ლიონთან" გამარჯვებით თუ მოხდებოდა. მასპინძელთა [illegible] ბაბანგიდამ გალების კარი უკვე მესამე წუთზე აიღო — ნიგერიელმა ფორვარდმა პანტელის კაფესის პასი გამოიყენა და მომხვდურებს [illegible] გოლი „აჩუქა".

ჩემპიონთა ლიგის ისტორიაში პირველი სამი მატჩის წაგების შემდეგ მერვედფინალში ოდენ ორი გუნდი გასულა. ეს უნდოდა „ოლიმპიაკოსსაც", მაგრამ ელინებმა თავს ზემოთ ახტომა ვერ შეძლეს. მასპინძლების ვეტერანი ბრაზილიელი რივალდო უსუსური იყო, ხოლო „ლიონში" მისმა თანამემამულე ჟუნინიომ [illegible] ფანები ბევრჯერ ააყვირა. ზუსტად ჟუნინიო იყო ის კაცი, შესვენებამდე ცოტა ხნით ადრე უძლიერესი დარტყმით ელინებს ტაბლოზე 1:1 რომ აუნთო. 44-ე წუთზე კი იონ კარეუმ ყოფილი გუნდის დაცვა დაიმორჩილა და „ლიონი" წინ გაიყვანა.

მეორე ტაიმში „ლიონი" ლაღობდა — 5 წუთის განმავლობაში კარეუმ ორი საგოლე ეპიზოდი გააცუდა. რაც მან ვერ მოახერხა, მალევე დიარამ შეძლო. სტუმრების ნახევარმცველმა 55-ე წუთზე მესამე გოლი გაიტანა. მერე ისევ ვიკინგმა კარეუმ შეაგდო და „ლიონმა" გაუბედურებული „ოლიმპიაკოსი" ჯგუფის აუტსაიდერად დატოვა. თავად გალები ახლა პირველ ადგილზე არიან და ლიგის შემდეგ საფეხურზე ასვლაც უკვე გაინაღდეს.

**ლადო ხომერიკი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიონი | 4 | 4 | 0 | 0 | 10:2 | 12 |
| რეალი | 4 | 3 | 0 | 1 | 8:5 | 9 |
| რუსენბორგი | 4 | 1 | 0 | 3 | 4:8 | 3 |
| ოლიმპიაკოსი | 4 | 0 | 0 | 4 | 4:11 | 0 |

# ჩემპიონთა ლიგა 2005-2006. ჯგუფური ეტაპი III ტური

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩელსი მიწაზე დაეშვა

**G ჯგუფი**

**ბეტისი 1:0 ჩელსი**

1:0 დანი (28)

**ბეტისი:** კონტრერასი, ვარელა, ნანო (კასტელინი 20), ხუანიტო, მელი, რივერა, ხოაკინი, არსუ, ედუ, კაპი (ფერნანდო 84), ოლივეირა (დანი 25)

მწვრთნელი: ლორენს სერა ფერერი

**ჩელსი:** ჩეხი, კარვალიუ, ფერეირა, ტერი, გალასი, მაკელელე, ესიენი, ლამპარდი, რობენი (დაფი 65), ჯო კოული (შ. რაიტ-ფილიპსი 46), გუდიონსენი (დროგბა 46)

მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ

გაფრთხილება: ჯო კოული, კაპი, ვარელა, რობენი, მელი, დროგბა, კონტრერასი, შ. რაიტ-ფილიპსი, დანი, დაფი

მსაჯი: ალან ჰამერი (ლუქსემბურგი)

45 000 მაყურებელი

**ლონდონის** „ჩელსიმ" სეზონი ბრწყინვალედ დაიწყო. ჟოზე მაურინიუს გუნდი ყველას ცალი ფეხით უგებდა. თუმც ბოლო ათ დღეში „ჩელსიმ" ჯერ „ევერტონს" ვერ მოუგო, მერე ინგლისის თასზე „ჩელტონს" დაუზავდა და პენალტებში წააგო, ხოლო ახლა სევილიაში სულაც დამარცხდა.

„ეს ჩვენი უცუდესი მატჩი იყო სეზონში. გუნდის თამაშში ერთი ნათელი წერტილიც ვერ დავინახე. განსაკუთრებით საზიზღრად პირველ ტაიმში გამოვიყურებოდით. ქულებში არ არის საქმე, რადგან ჯგუფში არც ისე ცუდი მდგომარეობა გვაქვს, ცუდი თამაშის ხარისხია. ალბათ ბიჭები პირველი მატჩის მერე მოდუნდნენ და იფიქრეს, მეტოქეს ისევ მარტივად მოვუგებთო. არადა, მოგება კი არა, ფრესაც არ ვიმსახურებდით" — აღნიშნა გაბრაზებულმა მაურინიუმ.

მატჩი მასპინძელთა უპირატესობით დაიწყო. მოუსვენარი ხოაკინი აქტიურობდა. სევილიელებმა რამდენიმე მომენტიც შექმნეს, მაგრამ უშედეგოდ. მერე თითქოს ყველაფერი აირია. ჯერ ნანო დაშავდა და შესაცვლელი შეიქნა, შემდეგ კი „ბეტისის" ლიდერი რიკარდო ოლივეირა.

ბრაზილიელი ფორვარდი, რომელიც დაახლოებით ოთხი თვე ვეღარ ითამაშებს, ედუმ შეცვალა და წესიერად გაქცევაც ვერ მოასწრო, რომ გამარჯვების გოლი შეაგდო. 28-ე წუთზე კაპიმ მარჯვენა ფლანგიდან ბურთი ლონდონელთა საჯარიმოში ჩააწოდა, ედუმ ბურთი ჭკვიანურად და ეფექტურად გაატარა, ხოლო დანიმ ერთი შეხებით დარტყმა დააგვიანა, მაგრამ საბოლოოდ უილიამ გალასთან ბრძოლაში მაინც მოახერხა ზუსტად დარტყმა.

უპირატესობას ამის მერეც ესპანელები ფლობდნენ, მაგრამ გატანა ვეღარ შეძლეს. „ჩელსი" კი მხოლოდ მიკაელ ესიენის ძლიით და ბოლო 10 წუთში მოწყობილი უნიათო შტურმით თუ „დაიკვეხნის".

„ჩინებულად ვითამაშეთ და დამსახურებულად მოვიგეთ. მრისხანე მეტოქესთან მთელი მატჩის მანძილზე ვაკონტროლებდით თამაშის მსვლელობას. ახლა ჯგუფიდან გასვლის შანსიც გვაქვს და საამისოდ ძალიან უნდა მოვინდომოთ" — თქვა სევილიელთა თავკაცმა ლორენს სერა ფერერმა.

**ლივერპული 3:0 ანდერლეხტი**

1:0 მორიენტესი (34), 2:0 ლუის გარსია (61), 3:0 სისე (89)

**ლივერპული:** რეინა, ფინანი, ჰიპია, კარაგერი, რიისე, ალონსო, სისოკო, ჯერარდი (კიუელი 79), ლუის გარსია, კრუჩი (სისე 72), მორიენტესი (ზენდენი 52)

მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი

**ანდერლეხტი:** პროტო, ჟუაში, ძევლაკოვი, ტიინენი, ვილჰელმსონი, ვანდერჰეიდე (პუიოლი 70), ზეტერბერგი, დემანი, გოორი, სერჰატი (იესტეროვიჩი 70), მ. მპენზა (ბასეჯო 82)

მწვრთნელი: იან კულემანსი

გაფრთხილება: სისოკო

გაძევება: იესტეროვიჩი (75)

მსაჯი: კიმ მილტონ ნილსენი (დანია)

42 607 მაყურებელი

**მერსისაიდელებმა** „ჩელსის" წაბორძიკებით ისარგებლეს და ჯგუფის ლიდერები გახდნენ. „ლივერპულმა" მშვენივრად ითამაშა და „ანდერლეხტს" ზედიზედ მეათე მარცხი აგემა ჩემპიონთა ლიგაში.

ანგარიში ძირითად შემადგენლობაში დაბრუნებულმა ფერნანდო მორიენტესმა გახსნა, რომელმაც სტივენ ჯერარდს პასი შეირგო. მეორე ბურთი ლუის გარსიამ სტივენ ფინანის ჩაწოდებულის მერე ეფექტური თავურით შეაგდო. ბოლოს კი შეცვლაზე შესულმა ჯიბრილ სისემაც გაიტანა.

სტუმრები უმომენტოდ ნამდვილად არ ყოფილან. მეტიც, ბელგიელებმა კარგად დაიწყეს, თუმც სტივენ ჯერარდსა და კომპანიას ვერაფერი მოუხერხეს და მატჩის შედეგიც სავსებით ლოგიკურია.

**კოკი კანდელაკი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლივერპული | 4 | 3 | 1 | 0 | 6:1 | 10 |
| ჩელსი | 4 | 2 | 1 | 1 | 5:1 | 7 |
| ბეტისი | 4 | 2 | 0 | 2 | 3:6 | 6 |
| 22:00 | 655 | ფრიოლუნდა-ფერიესტადი | 1.65 | 4.00 | 3.00 | 1.16 | 1.06 | 1.71 |
| 22:00 | 656 | მოდო-იურგორდენი | 1.65 | 4.00 | 3.00 | 1.16 | 1.06 | 1.71 |
| 22:00 | 657 | ჰვ 71-ტიმრე | 1.60 | 4.00 | 3.10 | 1.14 | 1.05 | 1.74 |
| 22:00 | 658 | ლულეო-სოდერტელიე | 1.70 | 4.00 | 2.90 | 1.19 | 1.07 | 1.68 |
| 22:00 | 659 | ლინჩოპინგი-ლეკსანდი | 1.25 | 4.30 | 4.50 | 1.00 | 1.00 | 2.19 |
| 22:00 | 660 | მორა-ბრინესი | 1.95 | 4.00 | 2.40 | 1.31 | 1.07 | 1.50 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ჰოკეი ფინეთი 3 ნოემბერი | | | | | | |
| 20:30 | 676 | ტაპარა-ესეტი | 1.45 | 4.00 | 3.60 | 1.06 | 1.03 | 1.89 |
| 20:30 | 677 | ლუკო-ტურკუ | 2.10 | 4.00 | 2.20 | 1.37 | 1.07 | 1.41 |
| 20:30 | 678 | სეიპა-კერპეტი | 2.20 | 4.00 | 1.90 | 1.41 | 1.01 | 1.28 |
| 20:30 | 679 | ჰელსინკი-იუვესკიულე | 1.90 | 4.00 | 2.30 | 1.28 | 1.04 | 1.46 |
| 20:30 | 680 | ჰამეენლინა-ესპოო | 1.70 | 4.00 | 2.85 | 1.19 | 1.06 | 1.66 |
| 20:30 | 681 | პელიკანსი-ილვესი | 2.60 | 4.00 | 1.80 | 1.57 | 1.06 | 1.24 |
| 20:30 | 682 | კალპა-იოკერიტი | 2.85 | 4.00 | 1.70 | 1.66 | 1.06 | 1.19 |
| | | ჰოკეი გერმანია 3 ნოემბერი | | | | | | |
| 22:30 | 730 | დუისბურგი-კიოლნი | 2.30 | 4.00 | 1.95 | 1.46 | 1.05 | 1.31 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ჰოკეი. შვეიცარია 3 ნოემბერი | | | | | | |
| 22:45 | 745 | ციურიხი-ბაზელი | 1.55 | 4.00 | 3.20 | 1.11 | 1.04 | 1.77 |
| | | ჰოკეი. რუსეთი 3 ნოემბერი | | | | | | |
| 15:30 | 765 | სიბირი-ნოვოკუზნეცკი | 1,85 | 4.20 | 2.60 | 1.28 | 1.08 | 1.60 |
| | | კალათბურთი. ევროლიგა 3 ნოემბერი | | | | | | |
| 22:45 | 875 | მაკაბი-პროკომი | 1.04 | 12.00 | 8.00 | 1.00 | 1.00 | 4.80 |
| 23:45 | 876 | ბარსელონა-ოლიმპიაკოსი | 1.10 | 12.00 | 4.50 | 1.00 | 1.00 | 3.27 |
| 22:45 | 877 | რეალი-უნიკასა | 1.35 | 12.00 | 2.95 | 1.21 | 1.00 | 2.36 |
| 23:45 | 878 | ბენეტონი-ბამბერგი | 1.04 | 12.00 | 7.00 | 1.00 | 1.00 | 4.42 |
| 23:45 | 879 | მილანი-ეფესი | 1.55 | 12.00 | 2.10 | 1.37 | 1.00 | 1.78 |
| 23:45 | 880 | პარტიზანი-პო ორტექსი | 1.35 | 12.00 | 2.90 | 1.21 | 1.00 | 2.33 |
| 23:45 | 881 | ოლიმპია-ქალევირისი | 1.75 | 12.00 | 2.00 | 1.52 | 1.00 | 1.71 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10466 | ლანსი-ჰალმსტადი | 1.70 | 2.30 | 6.00 | 1.00 | 1.32 | 1.66 |
| 10467 | მიდლსბრო-დნიპრო | 1.70 | 2.30 | 6.00 | 1.00 | 1.32 | 1.66 |
| 10468 | სტრასბური-ტრომსიო | 1.70 | 2.30 | 6.00 | 1.00 | 1.32 | 1.66 |
| 10469 | ცრვენა ზვეზდა-ბაზელი | 2.25 | 2.00 | 4.10 | 1.05 | 1.45 | 1.34 |
| 10470 | ლევსკი-დინამო(ბქ) | 2.35 | 2.00 | 3.90 | 1.08 | 1.46 | 1.32 |
| 10471 | ჰამბურგი-ვიკინგი | 1.50 | 2.50 | 6.50 | 1.00 | 1.21 | 1.80 |
| 10472 | რაპიდი(ვ)-რენი | 2.60 | 2.00 | 3.50 | 1.13 | 1.49 | 1.27 |
| 10473 | ლიტექსი-გრასჰოპერი | 2.65 | 2.00 | 3.30 | 1.13 | 1.46 | 1.24 |
| 10474 | სლავია-ცსკა(ბულ) | 2.25 | 2.00 | 3.30 | 1.05 | 1.33 | 1.24 |
| 10475 | ჰერენვენი-ცსკა | 3.30 | 2.00 | 2.45 | 1.24 | 1.40 | 1.10 |
| 10476 | ბრიონდბიუ-მაკაბი(ფთ) | 1.70 | 2.30 | 6.00 | 1.00 | 1.32 | 1.66 |
| 10477 | სამპდორია-სტიაუა | 2.00 | 2.00 | 5.10 | 1.00 | 1.43 | 1.43 |
| 10478 | შტუტგარტი-შახტარი | 2.20 | 2.00 | 4.50 | 1.04 | 1.47 | 1.38 |
| 10479 | ბოლტონი-ზენიტი | 2.00 | 2.00 | 5.30 | 1.00 | 1.45 | 1.45 |
| 10480 | პალერმო-ლოკომოტივი(მ) | 2.25 | 2.00 | 4.30 | 1.05 | 1.47 | 1.36 |
| 10481 | სევილია-ბეშიქთაში | 2.00 | 2.00 | 4.90 | 1.00 | 1.42 | 1.42 |

## 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11466 | ლანსი-ჰალმსტადი | 1.80 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 5.00 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11467 | მიდლსბრო-დნიპრო | 1.80 | 15.00 | 30.00 | 3.50 | 5.00 | 11.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11468 | სტრასბური-ტრომსიო | 1.90 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11469 | ცრვენა ზვეზდა-ბაზელი | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11470 | ლევსკი-დინამო(ბქ) | 2.90 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11471 | ჰამბურგი-ვიკინგი | 1.65 | 15.00 | 30.00 | 3.50 | 4.80 | 12.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11472 | რაპიდი(ვ)-რენი | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11473 | ლიტექსი-გრასჰოპერი | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11474 | სლავია-ცსკა(ბულ) | 2.70 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11475 | ჰერენვენი-ცსკა | 4.50 | 10.00 | 20.00 | 5.60 | 4.40 | 4.20 | 20.00 | 10.00 | 3.30 |
| 11476 | ბრიონდბიუ-მაკაბი(ფთ) | 1.90 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11477 | სამპდორია-სტიაუა | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11478 | შტუტგარტი-შახტარი | 2.70 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11479 | ბოლტონი-ზენიტი | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11480 | პალერმო-ლოკომოტივი(მ) | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.50 |
| 11481 | სევილია-ბეშიქთაში | 2.40 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |

### გოლი:წყვილი-1თუ კენტი-2. (0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17466 | ლანსი-ჰალმსტადი | 1.85 | 1.95 |
| 17467 | მიდლსბრო-დნიპრო | 1.85 | 1.95 |
| 17468 | სტრასბური-ტრომსიო | 1.85 | 1.95 |
| 17469 | ცრვენა ზვეზდა-ბაზელი | 1.85 | 1.95 |
| 17470 | ლევსკი-დინამო(ბქ) | 1.85 | 1.95 |
| 17471 | ჰამბურგი-ვიკინგი | 1.85 | 1.95 |
| 17472 | რაპიდი(ვ)-რენი | 1.85 | 1.95 |
| 17473 | ლიტექსი-გრასჰოპერი | 1.85 | 1.95 |
| 17474 | სლავია-ცსკა(ბულ) | 1.85 | 1.95 |
| 17475 | ჰერენვენი-ცსკა | 1.85 | 1.95 |
| 17476 | ბრიონდბიუ-მაკაბი(ფთ) | 1.85 | 1.95 |
| 17477 | სამპდორია-სტიაუა | 1.85 | 1.95 |
| 17478 | შტუტგარტი-შახტარი | 1.85 | 1.95 |
| 17479 | ბოლტონი-ზენიტი | 1.85 | 1.95 |
| 17480 | პალერმო-ლოკომოტივი(მ) | 1.85 | 1.95 |
| 17481 | სევილია-ბეშიქთაში | 1.85 | 1.95 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13466 | ლანსი-ჰალმსტადი | 1.90 | 1.70 |
| 13467 | მიდლსბრო-დნიპრო | 1.90 | 1.70 |
| 13468 | სტრასბური-ტრომსიო | 1.90 | 1.70 |
| 13469 | ცრვენა ზვეზდა-ბაზელი | 1.70 | 1.90 |
| 13470 | ლევსკი-დინამო(ბქ) | 1.70 | 1.90 |
| 13471 | ჰამბურგი-ვიკინგი | 2.00 | 1.60 |
| 13472 | რაპიდი(ვ)-რენი | 1.70 | 1.90 |
| 13473 | ლიტექსი-გრასჰოპერი | 1.70 | 1.90 |
| 13474 | სლავია-ცსკა(ბულ) | 1.70 | 1.90 |
| 13475 | ჰერენვენი-ცსკა | 1.70 | 1.90 |
| 13476 | ბრიონდბიუ-მაკაბი(ფთ) | 1.90 | 1.70 |
| 13477 | სამპდორია-სტიაუა | 1.70 | 1.90 |
| 13478 | შტუტგარტი-შახტარი | 1.70 | 1.90 |
| 13479 | ბოლტონი-ზენიტი | 1.70 | 1.90 |
| 13480 | პალერმო-ლოკომოტივი(მ) | 1.70 | 1.90 |
| 13481 | სევილია-ბეშიქთაში | 1.70 | 1.90 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 12466 | ლანსი-ჰალმსტადი | 1.90 | 1.70 |
| 12467 | მიდლსბრო-დნიპრო | 1.90 | 1.70 |
| 12468 | სტრასბური-ტრომსიო | 1.90 | 1.70 |
| 12469 | ცრვენა ზვეზდა-ბაზელი | 1.70 | 1.90 |
| 12470 | ლევსკი-დინამო(ბქ) | 1.70 | 1.90 |
| 12471 | ჰამბურგი-ვიკინგი | 1.90 | 1.70 |
| 12472 | რაპიდი(ვ)-რენი | 1.70 | 1.90 |
| 12473 | ლიტექსი-გრასჰოპერი | 1.70 | 1.90 |
| 12474 | სლავია-ცსკა(ბულ) | 1.70 | 1.90 |
| 12475 | ჰერენვენი-ცსკა | 1.70 | 1.90 |
| 12476 | ბრიონდბიუ-მაკაბი(ფთ) | 1.90 | 1.70 |
| 12477 | სამპდორია-სტიაუა | 1.70 | 1.90 |
| 12478 | შტუტგარტი-შახტარი | 1.70 | 1.90 |
| 12479 | ბოლტონი-ზენიტი | 1.70 | 1.90 |
| 12480 | პალერმო-ლოკომოტივი(მ) | 1.70 | 1.90 |
| 12481 | სევილია-ბეშიქთაში | 1.70 | 1.90 |

### ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16466 | ლანსი-ჰალმსტადი | 1.15 | 4.00 |
| 16467 | მიდლსბრო-დნიპრო | 1.15 | 4.00 |
| 16468 | სტრასბური-ტრომსიო | 1.15 | 4.00 |
| 16469 | ცრვენა ზვეზდა-ბაზელი | 1.35 | 2.60 |
| 16470 | ლევსკი-დინამო(ბქ) | 1.35 | 2.60 |
| 16471 | ჰამბურგი-ვიკინგი | 1.10 | 4.40 |
| 16472 | რაპიდი(ვ)-რენი | 1.50 | 2.20 |
| 16473 | ლიტექსი-გრასჰოპერი | 1.50 | 2.20 |
| 16474 | სლავია-ცსკა(ბულ) | 1.35 | 2.60 |
| 16475 | ჰერენვენი-ცსკა | 2.35 | 1.45 |
| 16476 | ბრიონდბიუ-მაკაბი(ფთ) | 1.15 | 4.00 |
| 16477 | სამპდორია-სტიაუა | 1.25 | 3.00 |
| 16478 | შტუტგარტი-შახტარი | 1.30 | 2.90 |
| 16479 | ბოლტონი-ზენიტი | 1.25 | 3.00 |
| 16480 | პალერმო-ლოკომოტივი(მ) | 1.35 | 2.60 |
| 16481 | სევილია-ბეშიქთაში | 1.25 | 3.00 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15466 | ლანსი-ჰალმსტადი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15467 | მიდლსბრო-დნიპრო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15468 | სტრასბური-ტრომსიო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15469 | ცრვენა ზვეზდა-ბაზელი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15470 | ლევსკი-დინამო(ბქ) | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15471 | ჰამბურგი-ვიკინგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15472 | რაპიდი(ვ)-რენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15473 | ლიტექსი-გრასჰოპერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15474 | სლავია-ცსკა(ბულ) | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15475 | ჰერენვენი-ცსკა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15476 | ბრიონდბიუ-მაკაბი(ფთ) | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15477 | სამპდორია-სტიაუა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15478 | შტუტგარტი-შახტარი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15479 | ბოლტონი-ზენიტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15480 | პალერმო-ლოკომოტივი(მ) | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15481 | სევილია-ბეშიქთაში | 3.00 | 2.80 | 2.00 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი ჩაითვლება წაგებულად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14466 | ლანსი-ჰალმსტადი | 1.20 | 2.60 |
| 14467 | მიდლსბრო-დნიპრო | 1.20 | 2.60 |
| 14468 | სტრასბური-ტრომსიო | 1.20 | 2.60 |
| 14469 | ცრვენა ზვეზდა-ბაზელი | 1.60 | 2.20 |
| 14470 | ლევსკი-დინამო(ბქ) | 1.60 | 2.20 |
| 14471 | ჰამბურგი-ვიკინგი | 1.05 | 2.90 |
| 14472 | რაპიდი(ვ)-რენი | 1.75 | 2.00 |
| 14473 | ლიტექსი-გრასჰოპერი | 1.75 | 2.00 |
| 14474 | სლავია-ცსკა(ბულ) | 1.60 | 2.30 |
| 14475 | ჰერენვენი-ცსკა | 2.00 | 1.70 |
| 14476 | ბრიონდბიუ-მაკაბი(ფთ) | 1.20 | 2.60 |
| 14477 | სამპდორია-სტიაუა | 1.40 | 2.40 |
| 14478 | შტუტგარტი-შახტარი | 1.55 | 2.30 |
| 14479 | ბოლტონი-ზენიტი | 1.40 | 2.40 |
| 14480 | პალერმო-ლოკომოტივი(მ) | 1.60 | 2.30 |
| 14481 | სევილია-ბეშიქთაში | 1.35 | 2.40 |

## შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ



# სიმპათიური სამზადისი

**6 და 12 ნოემბერს** საქართველოს მორაგბეთა ნაკრები თბილისში ურუგვაისა და ჩილის ნაკრებ გუნდებს ეთამაშება. მწვრთნელთა ტრიომ მალხაზ ჭეიშვილმა, დავით ჩავლეიშვილმა და პაატა ნარიმანაშვილმა გუშინწინ 30-კაციანი შემადგენლობა შეკრიბა. „ბორჯღალოსნები" საბურთალოზე, სასტუმრო „სიმპათიაში" დაბანაკდნენ და ვაკეში, „ლოკომოტივის" სათადარიგო მოედანზე დღეში ორჯერ ვარჯიშობენ.

ტრავმების, სავიზო თუ სხვა სახის პრობლემების გამო სამხრეთამერიკელებთან შეხვედრებს თედო ზიბზიბაძე, ირაკლი აბუსერიძე, მალხაზ ურჯუკაშვილი, პალიკო ჯიმშელაძე, გია ლაბაძე, ილო მაისურაძე, აქვსენტი გიორგაძე, ზვიად მაისურაძე, ლექსო გუგავა, დავით ბოლღაშვილი, გიორგი ჩხაიძე, ლევან დათუნაშვილი და კაპიტანი ილო ზედგინიძე დააკლდებიან. „ბორჯღალოსნებს" მათ გარეშე მოუწევთ ურუგვაი-ჩილის გუნდებთან რევანშის ასაღებად ბრძოლა.

აქამდე ამ გუნდებთან სამჯერ გვითამაშია და ერთხელაც არ გვიმარჯვია. პირველად ურუგვაიმ 2003 წლის მსოფლიოს თასზე მოგვიგო 24:12, შარშან საკუთარ მოედანზე — 17:7. ჩილის ნაკრებმაც შარშან შემოდგომას გვძლია 30:24.

ქართველთა 30-კაციან სიას ქვემოთ გაეცნობით. აქედანვეა ცნობილი ის 23 მორაგბეც, 6 ნოემბერს რომ გავა მინდორზე. შემდეგ ამ შემადგენლობას 7 ლეგიონერი გამოაკლდება და მათ ადგილს ქვემო სიაში დახრილი შრიფტით ჩამოთვლილი მორაგბეები დაიკავებენ.

**ოთარ მაღლაკელიძე**

### საქართველოს ნაკრები

**შერკინება:** გოდერძი შველიძე, დავით ზირაქაშვილი, მამუკა მაგრაქველიძე, დავით ხინჩაგაშვილი, გიორგი კუთარაშვილი, დავით დადუნაშვილი, *გიორგი სანიკიძე, გიორგი ჟღენტი, ელიზბარ ყუფარაძე,* მამუკა გორგოძე, ზვიად მათიაშვილი, გიორგი ნემსაძე, *სანდრო მჭედლიშვილი,* რატი ურუშაძე, შალვა სუთიაშვილი, ბესიკ ულუსიანი, რევაზ ბელქანია.

**უკანა ხაზი:** ოთარ ბარკალაია, ირაკლი მაჩხანელი, ბესიკ ხამაშურიძე, გიორგი შკინინი, *გიორგი ელიზბარაშვილი,* ირაკლი გიორგაძე, ლაშა ფირფილაშვილი, დავით ყამუტაშვილი, *ირაკლი ჩხიკვაძე, დავით კაჭარავა,* ბობა კვინიხიძე, ბიძინა სამხარაძე, მერაბ კვირიკაშვილი



## საქართველოს ჩემპიონატი

# თითი თვალში

## ქუთაისელებმა ჩემპიონს ტოლი არ დაუდეს



მცაბელ მამუკა აბრამიძეს (№7) ზურაბ სანიკიძე გადაეღობა



კახა შენგელია თამაშამდე ორივე გუნდის მწვრთნელს ტკბილად ესაუბრებოდა

**გუშინ** ისეთი ტური გამოერია, რომ თბილისურ მატჩებს ერთი შეხედვით ინტრიგა აკლდა, თუმც მოქმედ ჩემპიონ სტუ-სა და დებიუტანტ „ქუთაისის" შეხვედრა ძალიან დაძაბული გამოდგა.

...თამაშის დასრულებას 30 წამი აკლდა, ქუთაისელები 2 ქულით აგებდნენ და მათმა ცენტრმა კახა შენგელიამ ფარქვეშიდან უშედეგოდ შეუტია.

სიმართლე ითქვას, შენგელიას ტექნიკოსები ეჯაჯგურებოდნენ, მაგრამ ჯარიმა იყო თუ არა, ზუსტად ვერავინ იტყვის. მსაჯმა მალხაზ ანდღულაძემ ჩათვალა, რომ სტუდენტები სუფთად იცავდნენ თავს და შენგელიას რისხვაც დაიმსახურა. ბურთი აცილა თუ არა, ქუთაისელთა ცენტრმა ხელები გაშალა, ჯარიმა იყოო. დევივით ვეება შენგელიას მოქნეული ანდღულაძეს სახეში მოხვდა და მყისვე ჩაიკეცა. ვითომც აქ არაფერი, თამაში გაგრძელდა და როცა მოედნის მეორე მხარეს გადასულმა მატჩის მონაწილეებმა მსაჯი მოისაკლისეს, თამაში მერელა შეწყდა...

ანდღულაძეს შენგელიას თითი თვალში მოხვედროდა და ისე სტკიოდა, თამაში ძლივს ჩაამთავრა. მატჩის კომისარი მერე კი ეუბნებოდა ანდღულაძეს, შენგელია უნდა გაგეგდოო, მაგრამ მსაჯი თავისაზე იდგა, განზრახ არ დაურტყამს, ხელი შემთხვევით მომხვდაო.

ასე იყო თუ ისე, ამ მომენტმა სტუ-ს წისქვილზე დაასხა წყალი და ჩემპიონმა გამარჯვება, უფრო ზუსტად კი, ვაი-გამარჯვება მიითვალა. „ქუთაისს" რომ ძლივძლივობით მოუგებ და თან ათქმევინებ, ჩვენი წაგება მსაჯების სინდისზეაო, ნიშნავს, რომ გუნდში სერიოზული პრობლემები გაქვს.

სტუ-ს რომ პრობლემები აქვს, არახალია, თუმც აქ ქუთაისელთა თავგანწირვა და მონდომება უფროა აღსანიშნავი.

იმერლებმა პირველი მეოთხედი 24:29 წააგეს, მაგრამ სტუ-ს დაანახვეს, რომ იოლ გამარჯვებაზე არ უნდა ეფიქრა. ქუთაისელები კუდში მისდევდნენ სტუდენტებს და საწყისი მეოთხედის მიწურულს ანგარიშიც გაათანაბრეს (20:20), მაგრამ ერთ წუთში ტექნიკოსებმა ლაშა ლოსაბერიძის ჩაუქრობით 9:0 გაინავარდეს და მცირე შესვენებისთვის ლიდერობაც დაიბევეს.

ქუთათურთა ძირითადი დასაყრდენი მეფარეთა ტანდემი იყო. ვიქტორ კოლუაშვილი კარგად შეეწყო კახა შენგელიას და როცა იმერელთა უკანახაზელებიც სამქულიანებით ეშველებოდნენ საერთო საქმეს, სტუმრებს ულხინდათ. მეორე მეოთხედის ახალდაწყებულზე სწორედ ქუთაისელმა დაბლებმა იჩაუქეს — გიორგი ნიჟარაძემ სამიანი, დიმიტრი ნარსიამ კი ორქულიანი მიითვალა და იმერლები ორი ქულით მიუახლოვდნენ სტუ-ს — 29:31.

ტექნიკოსთა მწვრთნელმა ნუგზარ ჭეიშვილმა სხვა ხერხით რომ ვერ დაჯაბნა მეტოქე, შეგირდებს პრესინგის განხორციელება დაავალა, რამაც იმერლებში დეზორგანიზება გამოიწვია. სტუდენტები უშუალოდ პრესინგისას ბურთს ვერ უჭრიდნენ ქუთაისელებს, მაგრამ როცა მას მოიხელთებდნენ, შეტევა უადვილდებოდათ. დაცვაში აჭრილ ქუთაისელებს ლუკა შანიძე ზედიზედ სამჯერ გაეპარათ და ამანაც ყველა შეტევა შედეგიანად დააგვირგვინა. ტექნიკოსთა უპირატესობამ ათ ქულას გადააჭარბა, მაგრამ სტუმართა მაღლებმა იმდენი მოახერხეს, რომ „ქუთაისი" ბოლო შესვენებაზე 8-ქულიანი ლიდერობით გავიდა.

სტუ-ს ლიდერობა არცთუ დიდი იყო, მაგრამ ბევრს აფიქრებინებდა, რომ ძლიერმა სუსტი წყვეტში გატეხა. ნურას უკაცრავად, ქუთაისელები ისეთი შემართებით დაბრუნდნენ მოედანზე, რომ ხუთ წუთში ანგარიში გაათანაბრეს.

სხვაობის გაქრობაში მთავარი ვიქტორ კოლუაშვილის დამსახურებაა, რომელსაც საბოლოოდ 28 ქულა და 18 მოხსნა დაუგროვდა. ის ორივე ფარზე ჰეგემონობდა და არც მაშინ შედრკა, სტუ-მ ისევ პრესინგს რომ მიმართა. სტუდენტები ცდილობდნენ, ქუთაისელებისთვის მათსავე მოედანზე წაერთმიათ ბურთი, მაგრამ სტუმრები ყოჩაღად არ გაებნენ ხაფანგში და ანგარიში ხომ გაათანაბრეს, ნარსიას სამქულიანის შემდეგ 69:66 დაწინაურდნენ კიდეც. თუმც სტუ-მ მაინც მოახერხა ბოლო შესვენებაზე ლიდერად გასვლა — ირაკლი კეიდიამ ზედ ბოლო წამზე ჩაყარა საჯარიმოები და... 70:69 სტუ-ს სასარგებლოდ.

ეტყობა, სტუ სინდისის ქენჯნამ შეაწუხა, „ქუთაისს" როგორც ვერ ვუგებო და გადამწყვეტი მეოთხედი რიხით დაიწყო. 72:72 იყო და გიორგი გაგნიძის შედეგიან გატევევას სტუ-ელმა ზვიად [illegible] ტყუპი სამქულიანი მიაბა, რამაც ტექნიკოსებს 8-ქულიანი ლიდერობა დაუბევა.

არც აქ გატყდა „ქუთაისი", მეტოქეს თამამად შეუტია, მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ იმერლებმა ანგარიშში სხვაობა სტუდენტების ელემენტარული შეცდომების ხარჯზე შეამცირეს. მანიძე, ლოსაბერიძე და სხვა სტუ-ელები ფარქვეშიდან იოლად ნასაგდებ ბურთებს აცილებდნენ, რაც „ქუთაისმა" ტექნიკოსებს არ აპატია და ბოლო წუთზე კახა შენგელიას ცოტა მეტი სიზუსტე რომ გამოეჩინა, იქნებ საპირისპირო შედეგიც დაფიქსირებულიყო.

დანარჩენ მატჩებში ყველაფერი ლოგიკას დაემორჩილა: „ავიამშენმაც" იოლად სძლია სსუ-ს და „თსუ-ნიკორამაც" ოფლის ღვრის გარეშე, თუმც შედარებით მოკრძალებული სხვაობით დაამარცხა „მაკაბი".

**2 ნოემბერი. ვერის ბაღი**

**ავიამშენი 100:57 სსუ**

*28:14 26:15 15:16 31:12*

**ავიამშენი:** დ. ბერიშვილი (10), ნიკოლაძე (16), მარკოიშვილი (17), ორმოცაძე, ნინიაშვილი (13); მინაშვილი (10), ბ. ნოზაძე (16), ხოშტარია (5), ბ. ბერიშვილი (5), წოწელია (3), ჩხატარაშვილი (5), მოსეშვილი

**სსუ:** თორთლაძე (32), პატარაია (12), ჯგერენაია (1), კორძაძე (2), ლ. ნოზაძე (2); ქვილითაია (6), ონიკაშვილი (2), მეტრეველი, ჯიქია, ბენდიანიშვილი, მოდებაძე, გოლეთიანი

**მსაჯები:** მაკა კუპატაძე, ხათუნა გაბედავა

**კომისარი:** მურმან ქურიძე

**თსუ 93:79 მაკაბი**

*25:15 26:31 20:8 22:25*

**თსუ:** ი. ბერიშვილი (10), ლეჟავა (9), ფანჩულიძე (14), ტყეშელაშვილი (12), მუშკუდიანი (6); მარხვაშვილი (16), ვეფხვაძე (10), სანიკიძე (6), ბერაია (4), ლომიძე (6), კეშელავა

**მაკაბი:** ნინოშვილი (9), დოლიძე (12), ვაშაკიძე (10), აბულაძე (18), გ. შერმადინი (26); ს. შერმადინი (4), კორკოტაძე, აბრამიძე, ენუქიძე

**მსაჯები:** ზაზა მაჩალაძე, დავით არეშიძე

**კომისარი:** როლანდ გელოვანი

**სტუ 89:87 ქუთაისი**

*29:24 22:19 19:26 19:18*

**სტუ:** კოხრეიძე (6), მიქაძე (12), შანიძე (14), კეიდია (20), ახალკაცი (16); გაგნიძე (8), ლოსაბერიძე (13), მურჯიკნელი

**ქუთაისი:** ნარსია (9), ნიჟარაძე (20), პირტახია (9), კოლუაშვილი (28), შენგელია (13); მამისეიშვილი (4), ჭულუხაძე (2), ცერცვაძე (2), ლოსაბერიძე

**მსაჯები:** ხათუნა გაბედავა, მალხაზ ანდღულაძე

**კომისარი:** როლანდ ხომერიკი

**2 ნოემბერი. რუსთავი**

**აზოტი 81:83 დინამო**

*21:22 20:22 22:16 18:23*

**აზოტი:** ცეკვავა, ლიპარტელიანი (17), გოგობერიშვილი (23), გოგსაძე (3), დანელიანი (7); ფაიქრიძე (2), ჩაჩუა (8), ჟღენტი (8), კურტანიძე (6), არწივიძე (5), ჭოჭუა (2)

**დინამო:** გამყრელიძე (12), ცინცაძე (32), ვ. მაისურაძე (4), ლაფანაშვილი (15), სუხიშვილი (16); გვიმრაძე (4), წივწივაძე, გულისაბედაშვილი

**მსაჯები:** მაკა კუპატაძე, ზაზა მაჩალაძე

**კომისარი:** თენგიზ ქიქოძე

**ირაკლი პერტაია**

**BNP PARIBAS MASTERS**
პარიზი. საფრანგეთი
მაგარსაფარი
საპრიზო 1 870 000 €

**პირველი წრე**

**ფერნანდო ვერდასკო** (ესპანეთი) — ნიკოლას ლაპენტი (ეკვადორი) — 6:7 7:5 7:5; **ჟან-რენე ლისნარი** (საფრანგეთი) — ნიკოლა მაჰუტი (საფრანგეთი) — 6:3 1:6 7:6; **არნო კლემანი** (საფრანგეთი) — ნიკლას კიფერი (გერმანია) — 6:4 1:6 7:6; **მაქს მირნი** (ბელარუსია) — ნიკოლას მასუ (ჩილი) — 6:2 6:3; **ტეილორ დენტი** (აშშ) — სებასტიან გროჟანი (საფრანგეთი) — 6:4 7:6; **ფაბრის სანტორო** (საფრანგეთი) — იარკო ნიემინენი (ფინეთი) — 6:7 7:6 6:3

**მეორე წრე**

**ტომაშ ბერდიხი** (ჩეხეთი) — გილერმო კორია (არგენტინა, 2) — 6:4 6:2; **ნიკოლაი დავიდენკო** (რუსეთი, 3) — გრეგ რუსედსკი (ბრიტანეთი) — 6:2 6:2; **ნოვაკ ჯოკოვიჩი** (სერბია-მონტენეგრო) — მარიანო პუერტა (არგენტინა, 4) — 6:3 7:6; **რადეკ შტეპანეკი** (ჩეხეთი, 8) — ფელიციანო ლოპესი (ესპანეთი) — 7:5 6:2; **დმიტრი ტურსუნოვი** (რუსეთი) — მარიო ანჩიჩი (ხორვატია, 15) — 5:7 6:4 7:6; **ივან ლიუბიჩიჩი** (ხორვატია, 6) — ჯეიმს ბლეიკი (აშშ) — 6:3 6:4; **ტომი რობრედო** (ესპანეთი, 14) — არნო კლემანი (საფრანგეთი) — 7:5 6:2; **დომინიკ ჰრბატი** (სლოვაკეთი, 16) — ჟან-რენე ლისნარი (საფრანგეთი) — 6:3 6:3; **რობი ჯინეპრი** (აშშ, 12) — ფერნანდო ვერდასკო (ესპანეთი) — 6:3 6:7 6:3; **ტომას იოჰანსონი** (შვედეთი, 9) — კრისტოფ ვლიგენი (ბელგია) — 6:3 6:2

# ფავორიტები მაყურებელთა რიგებს ავსებენ


ნიკოლაი დავიდენკო


ტომაშ ბერდიხი

AFP

**პარიზში** დაიწყო მეორე წრის თამაშები და ფავორიტებიც ჩაებნენ გათამაშებაში, თუმცა არცთუ წარმატებულად. ტურნირმა უკვე თავიდანვე შემოგვთავაზა რამდენიმე სიურპრიზი.

ყველაზე დიდი მოულოდნელობა მაინც ტურნირზე მეორე ნომრად განთესილი არგენტინელი გილერმო კორიას ჩეხ ტომაშ ბერდიხთან მარცხი იყო. წაგება წაგებად, მაგრამ ასე უბრძოლველად თამაშის დათმობას არგენტინელისგან ნაკლებად ვინმე თუ მოელოდა.

არადა კორიას ეს მოგება ძალიან სჭირდებოდა, რადგან ამით შანხაიში გასამართ მასტერსის თასზე თამაშს გაინაღდებდა, ახლა კი ეს ერთობ საეჭვოა. თუმცა თუ კორია ჩინეთშიც ასე ითამაშებს, ჯობს, საერთოდ არ წავიდეს.

კორიასგან განსხვავებით, თავიანთი თამაშები მოიგეს შანხაიში მოხვედრის სხვა კანდიდატებმა — რუსმა ნიკოლაი დავიდენკომ და ხორვატმა ივან ლიუბიჩიჩმა.

რუსი ითლად, ორ სეტში გაუმკლავდა ბრიტანელ რუსედსკის, ლიუბიჩიჩმა კი იგივე დამართა ამერიკელ ჯეიმს ბლეკის.

შეგახსენებთ, რომ დავიდენკო და ლიუბიჩიჩი ამჟამად რეიტინგში შესაბამისად მე-7 და მე-8 ადგილებზე იმყოფებიან და დღევანდელი მდგომარეობით შედიან იმ რჩეულთა შორის, რომლებიც შანხაიში ითამაშებენ, მაგრამ მათი უპირატესობა მდევრებთან მინიმალურია. ამის გამო პარიზში კარგად გამოსვლა ორივე ამ ჩოგბურთელისთვის მეტად მნიშვნელოვანია.

შანხაიში მოხვედრის შანსებს დაემშვიდობა მარიანო პუერტაც, რომელმაც სერბ ჯოკოვიჩთან ვერაფერი გააწყო.

**WTA**
ფილადელფია. აშშ
მაგარსაფარი
საპრიზო 585 000 $

**პირველი წრე**

**მარტინა სუხა** (სლოვაკეთი) — სტეფანი ფორეცი (საფრანგეთი) — 6:1 5:7 6:1; **სესილ კარატანჩევა** (ბულგარეთი) — ვერა ზვონარიოვა (რუსეთი) — 7:5 6:3; **აი სუგიამა** (იაპონია) — ივეტა ბენეშოვა (ჩეხეთი) — 7:5 6:4; **ნიკოლ ვაიდისოვა** (ჩეხეთი, 7) — ვანესა ჰენკე (გერმანია) — 6:1 6:1; **ლიზა რეიმონდი** (აშშ) — სამანტა სტოსური (ავსტრალია) — 7:6 4:6 0:1

**ფილადელფიაში** მიმდინარე ტურნირზე ყველაზე საინტერესო მოვლენები კორტს გარეთ დატრიალდა. პირველი რიგის მთავარი ფავორიტები, პირველი და მეორე ნომრები, ლინდსი დევენპორტი და მარია შარაპოვა ჩამოაკლდნენ.

დევენპორტს გრიპის გამო მოუწია ტურნირისთვის თავის დანებება. მისივე განცხადებით, გამოჯანმრთელება ლოს ანჯელესში გასამართ მასტერსის თასისთვის უნდა მოასწროს, რომელიც 8-13 ნოემბერს გაიმართება.

მარია შარაპოვამ კი ვარჯიშის დროს ცერა თითი დაიშავა და ტრავმის გამიზეზებას მოერიდა. რუსმა მწუხარება გამოთქვა, რომ იძულებულია, ტურნირი გამოტოვოს და ამის გამო ფილადელფიელ ფანებს ბოდიში მოუხადა. თუმცა ჩოგბურთელების ეს გადაწყვეტილება თავის დაზღვევას უფრო ჰგავს, რათა მასტერსის თასისთვის დასვენება მოასწრონ. ლოს ანჯელესში მათ და კიმ კლაისტერსს შორის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაიმართება იმისთვის, რომ წელიწადი რეიტინგში პირველ საფეხურზე დაასრულონ.

ფილადელფიაში კი მეორე სათამაშო დღემ თინეიჯერთა წარმატებებით ჩაიარა. მშვენივრად ითამაშა და მეორე წრეში გავიდა ქალთა ჩოგბურთის ორი ამომავალი ვარსკვლავი — ჩეხი ნიკოლ ვაიდისოვა და ბულგარელი სესილ კარატანჩევა. მათ შესაბამისად გერმანელი ვანესა ჰენკე და რუსი ვერა ზვონარიოვა დაამარცხეს.

ვაიდისოვა წლის ბოლოს მართლაც კარგ ფორმაშია. მან ბოლო თვის განმავლობაში სამი ტურნირი მოიგო და ფილადელფიაში გამარჯვების ერთ-ერთი უმთავრესი პრეტენდენტია.

**კახა ლომაშვილი**



## რეგულარული ჩემპიონატი

# ფონს ლიდერთა თავგამოუდებლადაც გადიან


AFP დეტროიტიდან

პაველ დაციუკი

**1 ნოემბერი**

**აილენდერსი 4:3 ბოსტონი**
*2:1 0:1 1:0*
1:0 კვაშა (1), 2:0 ნიინიმაა (12), 2:1 სკაჩარდი (16), 2:2 ბოინტონი (31), 3:2 კამპოლი (45), 3:3 ტორნტონი (59), 4:3 ბეიტსი (65)

**დეტროიტი 4:1 ჩიკაგო**
*1:0 2:1 1:0*
1:0 მოლტბი (16), 2:0 ლებდა (28), 3:0 შენაჰანი (36), 3:1 ოკოინი (39), 4:1 უილიამსი (52)

**„დეტროიტმა“** პირველად ბოლო 10 წლის განმავლობაში ზედიზედ მეცხრედ მოიგო.

**ნიუ ჯერსი 3:4 პიტსბურგი**
*0:0 1:2 2:1 0:1*
1:0 ლანგენბრუნერი (27), 1:1 რეკი (36), 1:2 პირიეტა (37), 1:3 ტელბოტი (44), 2:3 ჯიონტა (53), 3:3 რასმუსენი (58), 3:4 გონჩარი (62)

**თუმცა** მოგება ლიდერების თავგამოდების გარეშეც შეიძლება. „პიტსბურგის“ სეზონში მხოლოდ მეორე გამარჯვებაში მარიო ლემიეს (0 ქულა) და სიდნი კროსბის (1 პასი) წვლილი მინიმალური გახლდათ.

**ტამპა 4:6 ატლანტა**
*2:2 1:1 1:3*
1:0 რიჩარდსი (5), 1:1 მოდრი (12), 2:1 რიჩარდსი (18), 2:2 ბონდრა (19), 3:2 ლეკავალიე (25), 3:3 კოზლოვი (29), 3:4 ჰოსა (44), 3:5 მოდრი (53), 4:5 პროსპალი (56), 4:6 კოვალჩუკი (60)

**სტუმრებმა** რიცხვმრავლობის ბრიგადების საუცხოო თამაშის ხარჯზე მოიგეს. მათ ოთხივე (!) რიცხობრივი უპირატესობა გამოიყენეს, თანაც უჩვეულო პლეიმეიკერული თვისებები გამოამჟღავნა ილია კოვალჩუკმა, რომელმაც ცარიელ კარში გატანილს 3 პასი დაამატა.

**მონრეალი 5:4 ფლორიდა**
*2:1 1:1 1:2 1:0*
1:0 რივე (3), 2:0 ზედნიკი (5), 2:1 ჟელინა (16), 3:1 ბულიონი (23), 3:2 ჰორტონი (37), 3:3 უაისი (49), 3:4 უაისი (56), 4:4 ბეგინი (60), 5:4 რაიდერი (64)

**კალგარი 3:0 მინესოტა**
*1:0 0:0 2:0*
1:0 ფანიოფი (20), 2:0 იგინლა (45), 3:0 იგინლა (60)

**ედმონტონი 5:1 კოლუმბუსი**
*1:1 2:0 2:0*
1:0 ჰარვი (10), 1:1 კლესლა (17), 2:1 ჰემსკი (23), 3:1 სმიტი (38), 4:1 ტორესი (45), 5:1 ჰემსკი (45)

**ანაჰაიმი 4:1 ნეშვილი**
*0:1 3:0 1:0*
0:1 პერო (4), 1:1 მაკდონალდი (21), 2:1 ჰედსტრომი (26), 3:1 ს. ნიდერმაიერი (38), 4:1 კუნიცი (58)

# სტაალის თვე და კვირა



**ამბობენ,** ლიგაში მეორე სეზონი სადებიუტოზე რთულიაო. ეგებ ბევრისთვის ასეცაა, მაგრამ კაროლინელ ერიკ სტაალზე ამას ნამდვილად ვერ იტყვი. ცენტრფორვარდმა ოქტომბერში ისეთი ტემპი აიღო, რომ ლიგის ყველა გამოჩენილ მეგოლეს გაუსწრო და 11 მატჩში დაგროვილი 22 ქულით სათავეში ჩაუდგა ბომბარდირთა დაკას. სტაალის ესოდენ მაღალი შედეგიანობა მით უფრო გასაკვირია, რომ წინა წლებში სწორედ გოლების გატანა იყო კლუბის აქილევსის ქუსლი, ახლა კი ამ მაჩვენებლით „ქარიშხლები“ პირველ რიგებში არიან.

ცხადია, სტაალის ბრწყინვალე თამაშს ლიგამაც მიაქცია ყურადღება და ფორვარდი ოქტომბრის საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს, თანაც მან თვით იარომირ იაგრს და პეტერ ფორსბერგს გაუსწრო. ერიკმა განსაკუთრებით თვის ბოლო კვირას გამოიჩინა თავი, როცა მან ჰეთ ტრიკი შეასრულა „ფილადელფიასთან“ (8:6) თამაშში, ხოლო შაბათს თავისი დაბადების დღე 4 პასით აღნიშნა „პიტსბურგთან“ (5:3) შეხვედრაში და კვირის ლაურეატობაც მოიხვეჭა.

თუმცა, მოგეხსენებათ, უკვე მეორე სეზონია, ლიგა საუკეთესო შემტევ და დამცველ მოთამაშეებს ირჩევს. ჰოდა, მეორე ნომინაციაში თვის ლაურეატობა „დეტროიტელ“ მენი ლეგასს ხვდა. წლების განმავლობაში მეორე მეკარის პოზიციაზე მოთამაშე ლეგასი მხოლოდ წლეულს დააწინაურეს და მან უმალვე ლიგის ახალი რეკორდი დაამყარა ერთ თვეში მოპოვებული 10 მოგებით, სულ კი ლეგასმა 11 მატჩში მხოლოდ 20 შაიბა გაუშვა. რაც შეეხება კვირის საუკეთესო დამცველს, ეს პატივი ასევე მეკარეს, „რეინჯერსელ“ ჰენრიკ ლუნდკვისტს ერგო.

# ლიგას გულშემატკივარი მიემატა

**ალბათ** ლიგის არც ერთ სიახლეს აზრი არ ექნებოდა, თუ ეს მთავარ მაჩვენებელზე არ მოახდენდა რაიმე ზეგავლენას. საუბარია ქომაგთა დაინტერესებაზე. როგორც ნჰლ-ის მეთაურობამ განაცხადა, ამ საქმეში დიდი წინსვლა შეიმჩნევა. ლოკაუტის შემდეგ განახლებულ ნჰლ-ში შედეგიანობის ზრდის კვალდაკვალ დასწრებაც საშუალოდ ერთ თამაშზე 16820 ქომაგამდე გაიზარდა, რაც ორი წლის წინდელს 615 კაცით, ანუ დაახლოებით 4 პროცენტით აღემატება. ყველაზე დიდი პროგრესი პიტსბურგში (31%), ტამპაში (26%), კალგარიში (23%) და კაროლინაში (21%) აღინიშნა, საერთო ჯამში კი სტადიონები მათი ტევადობის 91,2 პროცენტით ივსება.

**სამველ ლარიგიანი**

## მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატი

ბეერ-შევა. ისრაელი. 31 ოქტომბერი - 11 ნოემბერი

I ტური

| | | |
|---|---|---|
| სომხეთი | 2:2 | ისრაელი |
| რუსეთი | 3:1 | კუბა |
| ჩინეთი (ქალები) | 4:0 | ჩინეთი (ვაჟები) |
| აშშ | 2,5:1,5 | საქართველო |

| | | |
|---|---|---|
| ალექსანდრ ონიშჩუკი | 0,5:0,5 | ბაადურ ჯობავა |
| გიორგი გიორგაძე | 0,5:0,5 | ბორის გულკო |
| ილდარ იბრაჰიმოვი | 1:0 | ლევან ფანცულაია |
| მიხეილ მჭედლიშვილი | 0,5:0,5 | იგორ ნოვიკოვი |

*უკრაინამ დაისვენა*

# ამერიკამ საქართველოს მოუგო, ჩინეთმა — ჩინეთს


ბაადურ ჯობავა

ქართველთაგან საუკეთესო 22 წლის ბაადურ ჯობავა იყო, რომელიც შავი ფიგურებით ალექსანდრ ონიშჩუკს დაუპირისპირდა და მძიმე ბრძოლაში ქულა გაუყო.

ამერიკელმა ლაზიერის გამბიტით დაიწყო შეხვედრა, ქართველმა კი მხედარი f6-ე უჯრაზე გადმოახტუნა და სამ სვლაში პაიკი გაუცვალა მეტოქეს. ჯობავამ ლაზიერის ფლანგზე მდგარი ოთხივე პაიკი ცენტრისკენ დაძრა, თან ხელმწიფეც საიმედოდ დააბინავა და იერიშის განსახორციელებლად მოემზადა. ჩვენებურმა ხელმწიფის ფლანგიდან პაიკი გაუშვა წინ, თეთრების მეფეს გამაგრებული ალაგი მოუნგრია და ახალი იერიშისთვის მოემზადა. ონიშჩუკი მიხვდა, რომ ამგვარი დუნე თამაშით ქართველს ვერ მოერეოდა, ამიტომაც გააქტიურდა და მარჯვენა ფლანგიდან მძიმე ძალებით შეუტია. ამერიკელი ეტლ-ლაზიერით მიაწვა შავ მეფეს. ჯობავამ მდგომარეობის გასამუხტად გაცვლებს მიმართა, თეთრების აგრესია შეასუსტა და საპასუხო იერიშებს შეუდგა. თამაში ორმხრივ შეტევებში გადაიზარდა, ჯობავამ შავი ეტლი გაგზავნა წინ და პაიკებისთვის გზის გასუფთავება დაიწყო. მეტოქეები პაიკების გაყვანას შეუდგნენ, თუმცა მანევრებში ერთმანეთს ვერ აჯობეს, სვლები სამჯერ გაიმეორეს და 87-ე სვლაზე ყაიმი გამოაცხადეს.

ყაიმით დაასრულეს შეხვედრა გიორგაძემ და მჭედლიშვილმა. სამწუხაროდ, ფანცულიამ დათმო პარტია.

ჩინელმა ქალებმა თანამემამულე ვაჟები 4:0 გაანადგურეს და ცხრილის თავში მოექცნენ. მეორეა რუსეთი, რომელმაც კუბას 3:1 მოუგო.

**ჩემპიონატი** წარუმატებლად დაიწყეს ქართველებმა, პირველივე ტურში ამერიკის შეერთებულ შტატებთან დამარცხდნენ 1,5:2,5 და მე-6 ადგილზე აღმოჩნდნენ.


ონიშჩუკი ჯობავას 87-ე სვლაზე დანებდა



# მხიარული პრესკონფერენცია საინტერესო ბრძოლამდე

**ექვს** წონით კატეგორიაში მსოფლიოს ყოფილმა ჩემპიონმა ოსკარ დე ლა ჰოიამ დაადასტურა, რომ მომდევნო ბრძოლის გამართვას 2006 წლის მარტში გეგმავს WBC-ის ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონ რიკარდო მაიორგასთან.

„მგონია, რომ მაიორგა კარგი მოწინააღმდეგეა იმ ბრძოლისთვის, რომელსაც წელიწადნახევრიანი შესვენების შემდეგ გავმართავ, — განაცხადა დე ლა ჰოიამ. — ჩვენ მხიარული პრესკონფერენცია გვქონდა, მაგრამ თვითონ ბრძოლაც არანაკლებ საინტერესო უნდა გამოვიდეს".

საპრომოუტერო კომპანია GOLDEN BOY PROMOTIONS-ის ხელმძღვანელმა რიჩარდ შეფერმაც ასევე განაცხადა, რომ ოსკარის შემდეგი მოწინააღმდეგე მაიორგა იქნება, მაგრამ არაფერი უთქვამს იმის შესახებ, რა სტადიაზეა მასთან მოლაპარაკებები.

# შვარცი თავისას არ იშლის


ვოლფგანგ შვარცს თავი დასამალად გაუხდა

**ყოფილი** ავსტრიელი ფიგურულად მოციგურავე, ოლიმპიური ჩემპიონი ვოლფგანგ შვარცი დაკავებულია ადამიანის მოტაცებისა და გამოსასყიდის გამოძალვის დაგეგმვის ბრალდებით. იტარ-ტასის ცნობით, ეს დაკავებულის ადვოკატმაც დაადასტურა.

როგორც ჩანს, შვარცი ვენაში მცხოვრები რუმინელი მილიონერის 18 წლის ქალიშვილის გატაცებას გეგმავდა. ეს გოგონა იმიტომ ამოარჩია, რომ შვარცის ყოფილ სახლში ცხოვრობდა, რომელიც ვეტერანმა სპორტსმენმა ცოტა ხნის წინ მიჰყიდა ერთ-ერთ რუმინულ საადვოკატო კანტორას.

ყოფილ სპორტსმენს კანონთან პრობლემები ადრეც ჰქონდა. იგი რამდენიმე ლიტველ გოგონას საზღვრის არალეგალურ გადაკვეთაში დაეხმარა. მაშინ მას ტრეფიკინგისთვის წელიწადნახევარი მიუსაჯეს, თუმცა ექიმებმა შვარცს კიბოს დიაგნოზი დაუსვეს და სასამართლო დაარწმუნეს, რომ ციხეში ყოფნა მის ჯანმრთელობას გააუარესებდა.

ამჯერად შვარცს 10-დან 20 წლამდე პატიმრობა ემუქრება.





კიმი რაიკონენი


ნაიჯელ მენსელი

# რაიკონენს მუხლმა უღალატა
## მენსელმა ბატონი შტერიაო

**სამეფო** რბოლებში ორთვიანი შესვენების პერიოდია, თუმცა არასატრასო ამბები, რა თქმა უნდა, აქეთ-იქიდან მაინც ისმის.

მსოფლიოს ორგზის ვიცე-ჩემპიონი, 26 წლის კიმი რაიკონენი ბოლო დროს ისე შეაწუხა მუხლის ტკივილმა, რომ ოპერაციაზე დათანხმდა. ფინელ პილოტს ფეხი რამდენიმე წლის წინათ ავარიაში დაუშავდა. ამიტომაც იყო, რომ მანქანაში მუხლსაფარით ჯდებოდა და რეგულარულადაც უტარდებოდა გამოკვლევა-პროფილაქტიკა, ახლა კი „დანის ქვეშ" დაგეგმილი დაწოლა მოუხდა.

კიმის მენეჯერის თქმით, ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა და დეკემბრის ბოლოს ტრასაზე დაბრუნებას შეძლებს.

ცნობისთვის, რაიკონენი 2006 წლის სეზონის მერეც „მაკლარენში" აპირებს კარიერის გაგრძელებას და კატეგორიულად უარყო ხმები „ფერარიში" გადასვლაზე მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონ მიხაელ შუმახერის შემცვლელად.

ფორმულა 1-ში მსოფლიოს 1992 წლის ჩემპიონი ინგლისელი ნაიჯელ მენსელი ისევ გამოჩნდა სარბიელზე და გამალებით ემზადება ვეტერანთა პირველი ტურნირისთვის, რომელიც 13 ნოემბერს დაიწყება.

ამჯერად მან პრესისთვის თავის სატესტო გაჯირითებაზე კი არა, თანამემამულე მეფორმულე ჯენსონ ბატონის უტაქტო გამონათქვამზე გააკეთა კომენტარი. BAR-ელმა პილოტმა რამდენიმე დღის წინ ერთ-ერთ ინტერვიუში სკეპტიკური მოსაზრება გამოთქვა „სამეფო რბოლებში" ქალი მძღოლის გამოჩენის პერსპექტივაზე. 25 წლის მძღოლის აზრით, ქალები ვერ მიაღწევენ წარმატების მიღწევას, რადგან ფიზიოლოგიური თავისებურებების გამო ვერ გაუძლებენ ბოლიდში მძიმე დატვირთვებს. თანაც ვითომ ხუმრობით დასძინა, ქალბატონები ალბათ ვერ შეძლებენ საჭესთან მოხერხებულად მოთავსდნენ, ხოლო პიტსტოპზე მათი შემყურე მექანიკოსები სამუშაოს გულისყურით ვერ შეასრულებენ.

მოულოდნელად, მენსელის რეაქცია საკმაოდ მკაცრი იყო, ჯენსონს წინასწარ [illegible] „ზოგჯერ მგონია, რომ ბატონს ყველაფერი შეეძლება, მეგობრობაც კი. მაგრამ სულაც არ ვარ მისი მადლობელი იმის გამო, რომ ყოველ ნაბიჯზე მიწევს მისი ამ [illegible] გამონათქვამის კომენტარება. ჯენსონმა ახლა კიდევ ერთხელ გაიტანა გული საკუთარ გუნდში. მან უკვე ასი რბოლა ჩაატარა და ერთიც ვერ მოიგო. ურჩევნია, თავის საქმეს მიხედოს და ქალთა და კაცთა ფიზიოლოგიურ განსხვავებაზე არ იფიქროს. თუ რაიმე ჭკვიანური მოფიქრება არ შეუძლია, ჯობს, საერთოდ არ გააღოს პირი".

**გია ახალაძე**

# სასიკვდილო სპორტი ტოპმოდელისთვის



**ცნობილმა** ჩეხმა ტოპმოდელმა მარკეტა ბრიმოვამ ამპლუის შეცვლა და გარკვეული დროით ტაილანდური კრივით დაკავება გადაწყვიტა. 23 წლის მოდელმა თავისი არჩევანი იმით ახსნა, რომ დიდი ხანია ორთაბრძოლის ეს სახეობა მოსწონს (სხვათა შორის, მას „სასიკვდილო სპორტსაც" უწოდებენ).

თქვა და შეასრულა კიდეც: მშობლიურ პრაღაში მარკეტა უკვე ჩაეწერა სპეციალურ სექციაში, რომელსაც კვირაში ორჯერ აკითხავს, თუმცა ბრიმოვასთვის ესეც არ აღმოჩნდა საკმარისი. მან განაცხადა, რომ საკუთარი თავის პროფესიონალურ რინგზე გამოცდა უნდა, მაგრამ მარკეტას მოწინააღმდეგის შესახებ ჯერ არაფერია ცნობილი.

# მაკაიბ დივას დღე



AFP მელბურნიდან

მელბურნის დიდი დოღი „მაკაიბ დივამ“ მოიგო და მის პატრონებსა და მხედარს 5 მილიონი ავსტრალიური დოლარი მოუტანა. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ავსტრალიის მთავარი დოღის წინაც თვალსასეირო ბევრი იყო და „ფლამინგტონ ქორსზე“ სხვა დივათაც შეამჩნევდით. ტოპ მოდელთა ექსცენტრიულმა ალლუმმა დიდი ტაშისცემით ჩაიარა.

# გამარჯვებულის მალაყი

*ატლანტის სპიდვეიზე, ჰემპტონში რომ ძევს, ნასკარის შეჯიბრია. ნექსტელის თასის სერიაში ამჯერად „ფორდის“ პილოტმა კარლო ედვარდსმა იმარჯვა და თავისი განთქმული საზეიმო მალაყიც გასწია, მთელი „რაუშ რეისინგ ფორდის“ გუნდი კი ტაშსა სცემდა.*




AFP ჰემპტონიდან




AFP ცინცინატიდან

# გააჩერა

*ასეა: გარბოდი ბურთით ხელში და არ გაგატარა. გრინბეელმა მარკ რობინმა ცინცინატელთა მთავარგამქცევი რუდი ჯონსონი გააჩერა.. თუმცა, ჯამში მაინც ცინცინატიმ მოიგო, 21-14.*


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქროპირიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გია ახვლედიანი, გიორგი დარჩიაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კოტორაშვილი, ლევან ხინჯრიაშვილი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, თამარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ ღოლეჯიშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბეჟიტაშვილი, ხათუნა ბუხრიკიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ქრისტესია, ეკა დვალიშვილი, მაყვალა დოღრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქობულაძე, ზურაბ წერეთელი



რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი – 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 37 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge